

შინაური საქმეები.

№ 26-27.

ფასი ერთი შაური

ფლიური ფასი 4 მან.

წელიწადი მეხუთე.

ქოველ-კვირული გაზეთი

კვირა, 8-15 ივლისი 1912 წელი

ქოველ-კვირული გაზეთი

შინაური საქმეები

საქმეები № 17). და თბილისში გამოქვეყნდა სომხის ბაზარში, სომხისაგანის შუქის მალაზიაში. გამოვა ყოველ თვეში ოთხი ნომერი.

გაზეთის ფასი:

წლიური ფასი:	წლი:	სამი თვე:	ერთი თვე:
4 მანეთი.	2 მანეთი.	1 მანეთი.	2 აბაზი.

ცალკე ნომერი ქუთაისში ერთი შაური.

ფულის შემოტანი წლიურ ზღვის მომწოდების შემთხვევაში ასე განაწილდეს: თვიდან 2 მ. და 1 იენის 2 მ. განცხადების ფასი წინა გვერდზე. ბეტონით სტრუქტურაში უკანასკნელზე 7 კ. ჯდეს: ქუთაისი: „შახსურა საქმეების“ რედაქცია.

შინაური: 1. საკითხი სულის უკვდავებაზე [გაგრძელება]—ფი—ვე სი—ძე-სი; 2. სიტყვა ანჩისხატის ტაძარში თქმული—დე. თალაქვაძის; 3. ცხოვრება საქართველოს საკათალიკოსო ეკლესიისა მღ. მ. კელენჯერიძისა; 4. კიდევე პასუხი ვაზ. „კავკასი“—ეპ. დავითისა; 5. კრიტიკა ეკატერინე ვაბაშვილისა—ხომოლეისა; 6. ჩვენებური „დონისები“—ხელისა; 7. კვირადამ-კვირამდე; 8. ლოთობა—მღ. კ. ანთაძისა; 9. ვი ჩვენ სირცხვილს თუ მართალია?!—მღ. ბესარიონ ვაშაძისა; 10. რა მიზეზია?—ამალღებელისა; 11. ხმა სამრევლო შკოლის მასწავლებლისა—მასწავლებლისა; 12. სამრევლოზე—დურნოვისა; 13. გზა ქრისტესი—მღ. იოანე ლუკიანოვისა; 14. ხმა ზემო იმერეთიდან—მღ. სიმონ ტუმბურიძისა; 15. წერილი რედაქციის მიმართ—მნათე ანტონ დეისაძისა; 16. მადლობის გამოცხადება

საკითხი სულის უკვდავებაზე¹⁾.

თარგმანი.

გაგრძელება

უწინარეს ყოვლისა ჩვენთვის ცხადია, რომ სხეულის სიკვდილი თავის-თავად კიდეც არ იწვევს სულის სიკვდილსა. სული, როგორც ინდივიდუუმი განაგრძნობს თავის არსებობს და ენერჯის შენახვის კანონის ძალით მან საუკუნოდ უნდა იარსებოს. ამნაირად, პსიხიკურ ინდივიდუალიზმის თეორიას მივყევართ ჩვენ ჩვენი სულის ინდივიდუალურ უკვდავების მოსაზრებამდე, გარნა მხოლოდ მოსაზრებამდე და არა ამ უკვდავების საბოლოო დამტკიცებამდე. თვით იმ განზრახვას, რომელმაც ჩვენ იქნამდე მიგვიყვანა, რომ სული არ შეიძლება წარმოსდგეს ბუნებრივი გზით, იმ დასკვნამ-

¹ იხ. „შინაური საქმეები“ № 25.

დე მიყვება რომ სული შეიძლება გაჰქრეს მხოლოდ ზესთა ბუნებრივი ძალით: აბსოლუტურ ძალას, რომელიც ის არაფრისაგან გამოიწვია, ხელ-ახლა შეუძლია არაფრად აქციოს. ჩვენ არ შეგვიძლია უარ ვპყოთ ეს შესაძლებლობა. მეორე მხრით ინდივიდუალური უკვდავება ჯერ კიდევ არ არის ყველა ის, რაც ჩვენა გვსურს, როცა უკვდავებაზე ვლაპარაკობთ. ჩვენ ხომ არა თუ ინდივიდუალური, არამედ **შეგნებული უკვდავაც გვსურს.** მაგრამ პირველისაგან აუცილებლად მეორე არ გამომდინარეობს. ეს ცოტაა. ერთი შეხედვით პსიხიკურ ცხოვრების ფაქტებს ვითომც მივპყვართ შეგნებულ უკვდავების შესაძლებლობის უარის ყოფამდის. მართლაც, შეგნების მთელ შინაარსს სული ლებულობს სხეულის საშუალებით და უკანასკნელის მდგომარეობის ცვლილება პირველის შინაარსის ძირითად ცვლილებას იწვევს. ამ მხრით დიდად საყურადღებოა შემეცნების გაყოფის ფაქტი.

ეხლანდელ დროში ძალიან ხშირია პსიხოპათოლოგიური შემთხვევები. მაგალ, რომელიმე პიროვნება რამოდენიმე ხნის განმავლობაში სხვა და სხვა პიროვნებად გრძობს თავის თავს. ჩვეულებრივად ეს ასე ხდება: რომელიმე პიროვნება A, მაგალ. სამი თვის განმავლობაში ჩვეულებრივ ნორმალურ ცხოვრებას ატარებს და შემდგომ რომელიმე არა ნორმალური ძილისაგან გაღვიძების შემდეგ თავის თავს სხვა პიროვნებად გრძობს და მასთან სრულიად ივიწყებს მთელ თავის წარსულ ცხოვრებას. თუ ეს მხოლოდ ერთხელ ჰხდება, უეჭველია, ამნაირ პიროვნებას წარსული არ აქვს, ის უნდა განავითაროთ და მისი შეგნება შინაარსით უნდა გაამდიდროთ. განვითარების პროცესი, მგონია, სწრაფლ ჰხდება. გადის რამოდენიმე თვე. ჩვენი სუბიექტი ხელ-ახლა არა ნორმალური ძილს ეძლევა და გაღვიძების შემდეგ სრულიად ივიწყდება ყველა ის, რაც მან გამოსცადა უკანასკნელი თვეების განმავლობაში, ამასთან კარგათ ასსოვს ცხოვრება პირველ არა ნორმალურ ძილამდის განვლილი. თუ ჩვენ მის ჩვეულებრივ შემეცნებას ვუწოდებთ „A“-დ,

არა ნორმალურს „B“-დ, მაშინ ეხლანდელი მისი ცხოვრება „A“-ს მდგომარეობის გაგრძელება იქნება, შემდეგ ხელ-ახლა მოჰხდება არა ნორმალური ძილი და შემდეგი მისი ფიზიკური მდგომარეობა „B“-ს მდგომარეობის გაგრძელება იქნება. ეს შეიძლება მოჰხდეს რამოდენიმეჯერ.

აქ ჩვენ ვხედავთ, რომ ერთი და იგივე სული ხან ერთ და ხან მეორე პიროვნებად გრძობს თავის თავს. ჩვენ თუ ყურადღებას მივაქცევთ ადამიანის პიროვნების შემეცნების განვითარებას, მაშინ ხელ-ახლა შეიძლება იმ შედეგამდის მივიდეთ, რომ ერთ და იმავე სულს სხვა და სხვა პიროვნებში სულ სხვა და სხვა პიროვნებად შეუძლია წარმოიდგინოს თავისი თავი. ახლად დაბადებულს არ აქვს თვისი „მე“-ს შეგნება. ამ „მე“-ზე აზრი წლობით ვითარდება. „მე“ იგულისხმება როგორც წინააღმდეგი არა „მე“-სი, მასთან ყველა ის, რასაც სუბიექტი თვისი „მე“-ს შინაარსად თვლის თავის თავად, შემთხვევითი აზრთა, გრძობათა და სურვილთა გროვას წარმოადგენს; მაშასადამე, სხვა პიროვნებში ჩაყენებული სული ალბად სხვა გრძობებს განიცდიდა და სხვა სურვილები გაუჩნდებოდა და ამიტომ, უეჭველია, სულ სხვა პიროვნებად იგულისხმებდა თავის თავს. ყველა ასეთი ფაქტები შესაძლებლად ხდის სულის არსების შესახებ ასეთი თეორია შევადგინოთ. სული არის რაღაც უშინაარსო, მოუდრეკელი დასაწყისი. სხეული და გარემო სინამდვილე ასეთს თუ ისეთს აღნაბეჭდს დაასვენ მას. როცა მასზე ასეთი მოქმედება შესწყდება ხოლმე, მაშინ ის პირველ ყოფილ უშინაარსო სახეს ლებულობს. ამ თეორიის თვალსაზრისით სული უკვდავია, მაგრამ ჩვენთვის ასეთ უკვდავებს არ აქვს არავითარი მნიშვნელობა. ყველა ის, რაც ჩემთვის ძვირფასია, ყველა ის რისთვისაც მე უკვდავება მსურდა—ყველა ესენი მომაკვდავია, უკვდავია მხოლოდ ის, რასაც არ აქვს შინაარსი, რაც პროგრესისათვის გამოუსადეგარია, არ ექვემდებარება ცვლილებას და გაუკეთესებას. ასეთი თეორია ისე ნაკლებ გვაცნობს სინამდვილეს, როგორც ნამდვილი ტლანქი მა-

ტერიალიზმის თეორია. სული, როგორც განუყოფელი ერთეული, ჩვენ არ შეგვიძლია დავსახოთ უშინაარსო ერთეულად. მხოლოდ ძველი მეტაფიზიკური სეკულიზაციის უარის ყოფით და ახალ პსიხოლოგიის კანონების საშუალებით ჩვენ შეგვიძლია ისეთი სწავლა შევიმუშავოთ სულზე, რომელთანაც ერთად შეგვიძლია ვსთქვათ რომ სინამდვილე აზრიანია და ქრისტიანული სპირიტუალური მსოფლ-მხედველობა ჭეშმარიტია. ასეთი სწავლის გარდმოცემას ჩვენ ვხლავთ შეუღლებით.

როდესაც სულის უკვდავებს ამტკიცებენ, მეტაფიზიკები ჩვეულებრივად ამბობენ, რომ სული მარტივია. მე ვფიქრობ, რომ იმათ არასოდეს არ ესმოდათ სრულიად ეს დებულება. მარტივად ჩვენ ისეთ რამეს უწოდებთ, რომელიც სხვადასხვაობის თვისებას მოკლებულია, მაგრამ სულს სხვა და სხვა ნიჭი აქვს და სცხოვრობს რთულ და მომკმედ ცხოვრებით. მეტაფიზიკებს თვისი დებულებით ის უნდოდათ ეთქვათ, რომ სული, როგორც მარტივი რამე, ნაწილებად განუყოფელია, მაგრამ ისინი უფრო მეტს ამტკიცებდნენ და ამიტომ არავინ არ შეეძლოთ დაერწმუნებიათ იმაში, რაშიაც ვალდებულნი იყვნენ დაერწმუნებიათ. სული არ არის მარტივი, ის ნაწილად წარმოადგენს აქტიურ დასაწყისს, ნაწილად პასიურს. როგორც აქტიური დასაწყისი, ის თვითმოკმედ ძალთა შეერთებაა, როგორც პასიური დასაწყისი, ის ლებულობს გარემო ჭეყნის ზეგავლენას და სამუდამოდ ინახავს მას თვის არსებაში. სულისაგან მიღებულს სულ უმნიშვნელო მოვლენასაც არასოდეს არ შეუძლია გაჰქრეს მისგან. პსიხოლოგიის სახელმძღვანელოები ჩვეულებრივად მდიდარია ისეთი მაგალითებით, თუ როგორ ამა თუ იმ მდგომარეობაში ადამიანი გაიხსენებდა ხოლმე სრულიად დავიწყებულ ფაქტებსა ამ მხრით შესანიშნავია ის მოვლენა რომ, როცა ადამიანს კარს მოსდგომია აუცილებელი სიკვდილი და მისს უფლებებში მხოლოდ რამოდენიმე წუთები იყო, მაშინ მის წინ მის შეგნებაში მთელ მის ცხოვრებას დაწვრილებით გაუფრთხილ ხოლმე. ეს დამხეველ პირებსაც

ემთხვევოდან, რომელნიც ამოჰყავდათ წყლიდან ცნობა დაკარგულნი. ეს შემთხვევა ერთ პირს, რომელიც სწრაფლ მატარებლის ქვეშ მოჰყავა. რკინის გზის ლიანდაგზე სეირნობის დროს მოესმა მიახლოვებულ მატარებლის ხმაურობა, მიხვდა, რომ ეს სწრაფი მატარებელია და ამიტომ ვერ მოასწრებს რკინის გზის ლიანდაგიდან გადასვლას, ამიტომ ის სწრაფლ დაწვა ლიანდაგთ შუა. მატარებელმა მის ზევით გაისრიალა და არავითარი ზიანი არ მიუყენებია მისთვის და აი ის ამბობს, რომ იმ წამებში, როცა მის ზევით ვაგონები მისრიალებდნენ, გაიხსენა მთელი მისი წარსული ცხოვრება, ბავშობის იმ მომენტებიდან დაწყებული, როცა მან პირველად დაიწყო გარემო საგნების ერთმანერთისაგან გარჩევა. ნახევარ წუთის განმავლობაში მან ხელ-ახლა განვლო მთელი მისი ცხოვრება. ასეთი შემთხვევები მრავალრიცხოვანია და ამიტომ არ გვაქვს არავითარი საფუძველი ასეთ სიმართლეს ექვის თვლით შეგხედოთ. ფაქტების მეორე წყებას, რომელიც ამტკიცებს, რომ სული არ ჰკარგავს არავითარ მისგან მიღებულ შთაბეჭდილებას, იძლევა მესსიერების ავადმყოფობა. ცნობილი ამბავი პასტორის მზარეული დედა-კაცის შესახებ, რომელსაც ებრაულად აბოდებდა, იმიტომ რომ მას წინედ შემთხვევები ჰქონდა ხშირად მოესმინა პასტორის ებრაული კითხვა. მზარეულს მთელი ებრაული ფურცლები ახსენდებოდა, თუმცა ნამდვილია, რომ ის არ დაინტერესდებოდა ებრაული კითხვითა და ზერტლედ მოისმენდა მას. იყო შემთხვევები, რომ იმ პირს, რომელსაც სრულიად დავიწყებული ჰქონდა რომელიმე ენა, რაიმე შემთხვევის გავლენით უბრუნდებოდა ენის ცოდნა (ასე შემთხვევა ლიიუს, რომელსაც სრულიად დაავიწყდა და შემორეკი გაიხსენა ესპანური ენა). ყველა ასეთი ფაქტები გვაჩვენებენ და გვიმტკიცებენ ჩვენ, რომ სულის „მე“ არ იცვლება და სულს უკვდავება მოელოს, უეჭველად, უკვდავება შეგნებული. რაც სულს გამოუცდია ის მასთან საუკუნოდ დარჩება, მაგრამ ნამდვილ ჭეყნაიურ ცხოვრებაში, — ეს ჩვენთვის ადვილად ვასაგე-

ბია, —სულს ემთხვევა სხვა და სხვა მოვლენები როგორცაა პიროვნების გაყოფა და სხვა მისთანა. საქმე იმაშია, რომ მთელი სულის სიმდიდრე არ სდგას შეგნების წინ: პირველად ბევრს სული შეუგნებლად ღებულობს და მის ნებისაგან დამოუკიდებლად ინახავს; მეორედ ბევრი იკარგება სულის მახსოვრობიდან. ვამბობთ რა ამას, ჩვენ გვესმის მახსოვრობა როგორც ნიჭი წასულ წარმოდგენათა შეგნების გამოწვევისა. გარეშე პირობებს შეუძლია დროებით განდევნოს სულისაგან ზოგი მდგომარეობა და სხვა დააყენოს მის ალღას. სულის ფიზიონომია იცვლებოდეს იქნება, მაგრამ ჩვენ გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ როცა გარეშე პირობები სრულიად შესწყვეტენ სულზე გავლენას, მაშინ ყველა ის, რაც მას წინეთ მიუღია, მის შეგნებულ საკუთრებად დარჩება. ეს მით მტკიცდება, რომ ყოველთვის, როცა გარეშე გავლენა სულზე სუსტდება და სხეული ჩლუნგდება, სული წყებულობს წარსულის ნათლად წარმოდგენას. „მაშინდელი მე უფრო უკეთ მახსოვს, ვინემ ეხლანდელი“ სწერდა ფლორინს წმ. ირინე. ესევე შეუძლიან დადასტურონ ყველა მოხუცებულებმა ყველა საუკუნოისა და ქვეყნისამ. აქედან ჩვენ ნება გვაქვს ვსთქვათ, რომ როცა ადამიანი განთავისუფლდება სხეულის ბორკილებისაგან, მისი სულის მესხიერება შეიქმნება სრული.

ფი—პე სი—ძე.

შემდეგი იქნება.

ს ი ტ ვ ე ბ ა,

თქმული ანჩისხატის ტაძარში პირველ წირვაზე.

„შერახვიდეთ სხლსა მას,
მოიკითხეთ იგი და სთქეთ:
მშვიდობა სხლსა ამას“ (მთ.
10, 12).

თანახმად იესო ქრისტეს ბრძანებისა, ამ სიტყვებით შედიოდნენ ხოლმე წმ. მოციქულე-

ბი ამა თუ იმ დაბა-ქალაქში, ამა თუ იმ სოფელში და სახლში, როდესაც ისინი ჰყენდნენ კაცობრიობას ზეციურ ახალ მოძღვრებას, რომელიც ქვეყნად ჰქადაგა თვით მაცხოვარმან ჩვენმან.

ამა ბრძანების ღვთაებრივ ძალას ვემორჩილები მეც, მცირე მწყემსი ქრისტეს ეკლესიისა და, შემოვდვი რა ფეხი ამ წმ. ტაძარში, გულის სიღრმიდგან გიხმობთ: „მშვიდობა სახლსა ამას“! მშვიდობა თქვენდა, მორწმუნენო! მშვიდობა, სიკეთე, წარმატება და ყოველივე ბედნიერება ჩემს ახალ სამწყსოს! მშვიდობა ყოველთა, ღმერთმა მშვიდობა ნუ მოგვიშალოს ყველას!

დიდის შიშით და ძრწოლით შემოველ ამ ძველის-ძველ ჩვენს სიწმინდეში! განა შორიდგან მოველ! არა, აქვე, ამ ჩვენის ღვთა-ქალაქის განაპირას ვმსახურე ცხრა წლის განმავლობაში! ვმსახურე ჩვენს სათაყვანებელ დიდუბის ღვთისმშობლის ცხოველ ხატის საფარველსა ქვეშე!

თქვენ, ჩემი ახალი სამწყსო, არა ხართ ჩემთვის უცხო, უცნობნი, თქვენც ვმსახურებდი დიდუბეში. ჩემის ცოდვილი და უღირსის პირით უღალადებდი ჩვენს სასო ღვთისმშობელს და ვავედრებდი მას მისსავე წილხდომილ ქვეყანას, ვავედრებდი თქვენს თავსაც; მის ღვთობრივ მზრუნველობას ანდობლით თქვენც თვის გულთა ზრახვათა და ჩემის ხელმძღვანელობით აფრქვევდით მის ხატის წინაშე ხან სიხარულის და ხან მწუხარების ცხარე კრემლებს, როგორც ეს სჩვევია ამ წუთისოფელს!

ღღეს თვისი ერთგული მსახური ღვთისამ წარმომგზავნა აქ მსახურებად მის მხოლოდ-შობილ ღმერთ-ძისადმი!

ეს. წმ. ტაძარიც მეჩვიდმეტე საუკუნემდე ღვთისმშობლის სახელობისა ყოფილა! გარნა ღვთის განგებას თქვენთვის—ანჩათელეებისათვის მოუვლენია დიდი პატივი, დიდი, ფასდაუღებელი ჯილდო, თქვენი ტაძარი გამხდარა ღირსი მიელო თვის ფრთეთა ქვეშე უდიდესი სიწმინდე მთელ საქრისტიანოსი, ხელთუქმნელი პირი ღვთისა, სახე უფლისა ჩვენისა იესო ქრი-

სტესი, რომელიც მან, მაცხოვარმან ჩვენმან, თვისს ქვეყნათ ცხოვრების დროს, სასწაულე-ბრივ გამოსახა ტილოზე და ინება წარგზავნად ქ. ედესიის ღვთის მოშიშ და მორწმუნე ავგა-როზ მთავრისათვის.

ეს უდიდესი საქრისტიანო სიწმინდე დრო-თა და ჟამთა ვითარებისა გამო ქ. ედესიიდან ჯერ წასვენეს კონსტანტინეპოლში—აქედგან, ხატთა დევნის დროს, საიდუმლოდ გადმოსვენ-ეს წმინდა მოციქულთა სწორის ნინოს სამშო-ბლო კაპადოკიაში და დასვენეს დასავლეთ სა-ქართველოში, მდინარე ქოროხის ხეობაში მდებ-არე ანჩის სავსიკოპოსო ტაძარში. გარნა, როდესაც ოსმალებმა მოჰგლიჯეს ეს მხარე ქრისტიანობას, ეს პირი ღვთისა, ხელთუქმნელი ხატი ნეტარხსენებულ ქათალიკოზ-პატრიარქის დომენტის მაცადინებობით მოსვენებულ იქმნა ამ საკათალიკოზო ტაძარში, რომელსაც მას შემდეგ ეწოდების ანჩის ხატის საყდარი.

ეს ჩვენში ძველის-ძველი სახელოვანი ქა-თალიკოზთა კარის ეკლესიაა! მეშვიდე საუკუ-ნიდგან მოყოლებული აქედგან იმწყსოდა მთე-ლი საქართველო; სხვათა შორის აქედგანაც ეფინებოდა მას ქრისტიანულ მოძღვრების სწავ-ლა-განათლების სხივები...

ქართველი მეფე—დიდებულნი აქ ემზადე-ბოდნენ სამეფოს მოვლა-პატრონობისათვის, აქ განემტკიცებოდნენ ისინი სჯულისა და სამშობ-ლო მიწა-წყლის დაცვისა და თავდადებისა-თვის..

დღეს კი, როდესაც ჩვენს სახელოვან წი-ნა-პართა მოკმედეგისა და მოქალაქობის აჩრ-დილიც აღარ შეგვრჩენია და ასე დავძაბუნე-ბულვართ, დამცირებულა ეს დიდებული საყ-დარიც!

საკათალიკოზო საკრებულო ტაძარი გამხ-დარა ერთი მღვდლის ანაბარა! გარს შემოჰფან-ტვია მრევლი, — მომვლელ - პატრონნი მისნი! კარ-გზო-მიდამო მისი მინგრეულ-მონგრეულია; ამ საყდრის აუარებელ სიძლიდრისაგან თითქმის აღარაფერი დარჩენილა და ისინი, ვისაც ჩვენი დამაბუნება უხარის თუ აწუხებს გვითითებენ

ხოლმე ანჩის ხატის ეკლესიის დღევანდელ სამ-წუხარო მდგომარეობაზე!

მაგრამ... ჩვენთანა არს ღმერთი! ჩვენს ხელთ არის, ძმანო, ჩვენი თავი, ჩვენი გული, ჩვენი სული, ჩვენი ნამუსის, ჩვენი სინილისის და თავმოყვარეობის დაცვა!

ჩვენი წინაპრები თუ გმირები იყვნენ, თუ იმათ გვაჩვენეს როგორ უნდა თავდადება სჯუ-ლისა და სამშობლოს დასაცველად, — თქვენ ხომ მათი ღვიძლი შვილები ხართ?! თქვენ ხომ მათი სისხლი გიდულსთ ძარღვებში?

მაშ დროა გარს მიმოვიხედოთ, დროა თვა-ლები გამოვახილოთ და ამდენი ხნის ძილს თავი ავართვათ, თორემ ლამის არის ძილში სიკვ-დილი შემოგვეპაროს.

როდესაც მაცხოვარი ჩვენი იესო ქრისტე ქვეყნათ ჰქადაგებდა თვის ზეციურ მოძღვრებას და თან ჰკურნებდა ათასგვარ სნეულთა და დაერდომილთა, ის, ჩვენი მაცხოვარი, ახდენ-და ამ სასწაულებს ადამიანთა რწმენით, ის ეკითხებოდა მათ „გრწამსა“?! ის აღვიძებდა ადამიანში რწმენა-იმედს, შემდეგ ახდენდა მათ-ზე ღვთიურ სასწაულებს და დასძენდა: „სარ-წმუნოებამან შენმან გაცხოვნა შენ“!

აი ეს ცხოველი რწმენა—იმედი მსურს დამკვიდრდეს ჩემსა და თქვენ შორის, ძმანო!

ჩემი მხრით მოგიძღვნიოთ მთელს ჩემს არ-სებას, მთელს ჩემს ძალ-ლონეს, მთელს ჩემს ცხოველ სარწმუნოებას და გულს მოდგინედ გემუდარებით — მიმიღეთ და შემიყურეთ თქვენს სიყვარულში! „ილოცევდით ჩემთვის“, საყვა-რელნო, რომ ზეციურმა მწყემსმთავარმა არ მომაკლოს ძალი და მადლი მისი, რათა მართლ-მკვეთელობით ვასრულებდე ღვთიურ ქეშმარი-ტების სიტყვას (2 ტიმ. 2, 15), ვიყვარებო-დეთ ურთი-ერთარს“, რომ ერთობით, ერთი სულით და გულით ვადიდებდეთ ჩვენს ზეცი-ურ მამას—შემოქმედს!

ნუ მომაკლებთ თქვენს ყურადღებას, ნუ დამტოვებთ ამ წმ. ტაძარში მარტოს, ნუ და-მაგდებთ ამ ცოცხელების ამარა! ვანახლეთ თქვენი სარწმუნოებრივი კავშირი ამ ეკლესი-ასთან! მე ვთხოვთ, სიმდაბლით და თან დაბე-

ჯიბებით ვთხოვთ, ანჩხათელებო, ალაღინეთ ეს თქვენი სიწმინდე, კვლავ გარს შემოერთყენით მას, გაათბეთ აქაურობა თქვენის წრფელის გრძნობებით და სარწმუნოებით!

მე გიცხადებთ, არ ვარ დაჩვეული ცარიელ ეკლესიაში წირვა-ლოცვას! დიდუბეში გარს მხევიანენ მორწმუნენი, ისინი მამხნევებდენ ისინი მამოქმედებდენ და მეც ვმწყსიდი მათ! თუ არ ასეთივე კავშირი თქვენსა და ჩემს შორის, ისე ამ თავით ვერას დაგპირდებით! მღვდელი, თუ მას ერი არ ახლავს, — უღონოა, ის საბრალოა!..

ისმინეთ ესე ვითარი თქვენდამი ჩემი ხვეწნა მუდარა, გააღეთ თქვენი გულის კარი, რომ შიგ დაიბუღოს სიყვარულმან თქვენსა და ჩემს შორის და გარეშეთა მიმართ.

ერთად ვიხადოთ ხელთუქმნელ პირი ღვთის წინაშე პირველი პარაკლისი დღეს, შევევედროთ, გულმხურვალედ შევევედროთ მას, რათა ჩვენც გავცხოველდეთ, რათა ალაღინოს მან ჩვენში მამა-პაპათა სიმტკიცე ეკლესიის და მამულის თავდადებულ სამსახურისათვის!

მწვიდობა თქვენდა! კურთხევა უფლისა თქვენზედა მისითა მადლითა და კაცთ-მოყვარეობითა, ყოველდღე აწ და მარადის და უკუნიითი უკუნისამდე. ამინ.

ანჩისხატის საკრებულო ტაძრის წინამძღვარი
დეკანოზი ნიკიტა თაღაქვაძე.

ცხოვრება

საქართველოს საკათალიკოსო ეკლესიისა.

ამ გავლენას მოჰყვა ის, რომ ქართველებმა შეითვისეს ამ აღმოსავლეთის ძველი ერების რელიგიური რწმენა — საბეიზმი, ანუ ცის მნათობთა გაღმერთება და ცეცხლის თაყვანის ცემა. ამას უფრო ვრცლად ქვევით დავინახავთ.

ბერძენების გავლენა. უძველესი დროიდან იცნობდენ ბერძენები საქართველოს და ეტანებოდენ ჩვენკენ. მათ უძველეს დროდან დაუარსებიათ შავი ზღვის პირებზე თავიანთი ახალშენების კოლონიები და მაღალი კულტურული

გავლენაც ჰქონდათ ჩვენზე. შავიზღვის ნაპირებზე მათ დაუარსებიათ ქალაქები: ნიკოპსია, ცხომი, სევასტოპოლი, პიტეუმი, ფანაგორია, გელენჯიკი, ბატა, დიოსკურია, პანტიკოპეია, ანაკლია, ტორიკოსი, ფაზისი (ფოთი), ილორი, ბელია, გერაკლეია, კოდორი და სხვა. ამასვე მოწმობს თქმულებანი კავკასიონის ქედზე მიჯაჭვულ პრომეთეოსზე, ამირანზე, ამაზონკებზე და არგონოტებზე, რომელთაც კოლხიდის მეფის **ოტიასთვის** მოუტაცნიათ გრძნეული ქალი **მელდეა** და ოქროს მატყლოვანი ვერძი. ზღაპარი ოქროს მატყლოვან ვერძზე იმ აზრს შეიცავს, რომ ბერძენები საქართველოს მდიდარ ქვეყნად სთვლიდენ და ეს სიმდიდრე იტყუებდა მათ აქეთკენ. ბერძენების მეცნიერნიც კარგად იცნობდენ საქართველოს. ზოგი მათგანი კიდევაც ყოფილა აქ სამეცნიერო მიზნით და ჩინებული გამოკვლევანი და ცნობანი დაუტოვებია საქართველოს შესახებ (ქსენოფონტი, გეროდოტი, სტრაბონი).

ამ გარემოებამ გამოიწვია საქართველოში შემოტანა ბერძენების **ანთროპომორფიზმისა**, ე. ი. კაცის თაყვანისცემისა. მართლაც ყველა ჩვენი ძველი კერპები: ბოჩი, გაციმ, გაიმი არმაზი ამას ამტკიცებს. ქართველ ერს ღრმად ჩაჯდომია გულში კაცის პატივისცემა. ნამეტურ ქალისა. მაგრამ უფრო გაძლიერდა ასეთი გავლენა მესამე საუკუნიდან ქრ. წინ, როცა ბერძენთა გამირმა, მაკედონიის მეფემ ალექსანდრე დიდმა სპარსეთის დიდი სამეფო დააქცია, მეფის დარიოსის ცოლშვილი ხელთ იგდო და მთელი ქვეყანა დაიპყრო, ამათში საქართველოც შიგ მოაყოლა. „ესე გამოვიდა დასავლით და შევიდა სამხრით, შემოვიდა ჩრდილოთ, გარდმოვლო კავკასნი და მოვიდა ქართლად: და პპოვნა ყოველნი ქართველნი უბოროტეს ყოველთა ნათესავთა, სჯულითა. რამეთუ ცოლ-ქმარობისათვის და სიძვისა არა უჩნდათ ნათესაობა, ყოველსა სულსა სჰამდეს, მკვდარსა შესჰამდეს... და უკვირდა ესე ალექსანდრეს“. ჩვენი მემკვიდრე დასძენს თქმულს რომ ეს ურჯულო და უზნეო ხალხი ქართლში, მტკვრის მიხვევით მცხოვრებნი „იყვნენ ბუნთურქები“ და

„უკიპალები“-ო; „მოსრნა ყოველი იგი ნათესავნი აღრეულნი, ქართლს მყოფნი... და დაუტევნა ნათესავნი ქართლოსიანი (ქართველები) და დაუტევა მათზედა პატრიკად (ერისთავად) სახელით აზონ“ (ქ. ცხ. 32—33). „და უბრძანა ალექსანდრემ აზონს, რათა პატრიკს-ცემდენ მზესა და მთვარესა და ვარსკვლავთა ხუთთა, და მსახურებდენ ღმერთსა უხილავსა, დამბადებულსა ყოვლისასა... და წარვიდა ალექსანდრე“. მაგრამ მოკვდა თუ არა ალექსანდრე, აზონმა მისი ანდერძი დაარღვია, „დაუტევა სჯული ალექსანდრეს მოკემული, იწყო კერპთ-მსახურებად და შექმნა ორნი კერპნი ვერცხლისანი, გაციმ და ბაიმ“ (IB). ამას ბატონიშვილი ვახუშტი დასძენს, რომ „ამის აზონის დროს იწყეს ქართველთა შვილთა თვისთა კერპთა შეწირვად და არა აყენებდა აზონ, ვინაითგან თვითცა ჰკელიდა“. ეს საზიზღარი ჩვეულება მოშალა მეფე რევა, რომელმაც აღარ აუფლნა (ქართველნი) და დაკვლად შვილთა მათთა, არამედ ნაცვლად მათდა ძროხა-ცხვართა უბრძანა შეწირვა (ვახუშტი 52); აზონი მალე იქმნა მოკლულ ფარნაოზ მეფის მიერ, რომელმაც სხვა კერპებს არმაზიც მიუმატა. ეს კერპი მან „შექმნა სახელსა ზედა თვისსა, ესეც არს არმაზი, რადგან ფარნავაზს სპარსულად არმაზ ერქვა“, ამართა კერპი არმაზი თავსაზედა ქართლისასა, რომელსა მიერიგან ეწოდება არმაზი, კერპისა მისთვის. და იქმნა სატფურება დიდი კერპისა მისთვის აღმართებულისა“.

მოკვდა ფანავაზ. ტახტზე ავიდა ძე მისი საურმაგ. მან განაგოძო საქმე მამისა და „შექმნა ორნი კერპნი აინინა და დანანა და ამართნა გზასა ზედა მცხეთისასა“. საურმაგის შემდეგ მისი შვილობილი პირვანოსი მეფობდა; მისი მემკვიდრის ფარნაჯომის დროს მიემატა ქართველთ ღმერთთა პანთეონს ერთი კერპიც „ზადენი“ ციხე ზადენზე, „მან (ვე) შეიყვარა სჯული სპარსთა და მოიძულნა კერპნი ქართველთანი და ჰქმნა საცეცხლე მცხეთას; ამისათვის მოიძულეს ქართველთა, რამეთუ სასოება დიდი აქენდათ კერპთა თვისთა ზედა“ (ვახუშტი 41).

ბერძენთა ღმერთთაგან კიდევ გვხვდება ჩვენ ქვეყანაში სხვებიც, ასეთია ვენერა და დიანა, მაგრამ ესენი სწორეთ იგივე აინანა და დანანაა, რომელიც საურმაგმა შემოიღო, რაზგ ზევით ვსთქვით. წმ. ანდრია მოციქულმაც მოასწრო საქართველოში მოგზაურობის დროს ამ კერპთმსახურებას. როცა იგი შემოვიდა სამცხის ქალაქ ზადენ-გორაში, მიხედნა მოციქულმან და იხილა, რამეთუ კაცნი მის ადგილისანი უზოროვიდეს კერპთა ყრუთა. ქალაქ აწყვერშიც იგივე შეამჩნია მან. აქ მან დაივიანა (დაბინავდა) ადგილსა ერთსა, სადა იგი იყო ტაძარი საკერპო და მასშინა იმსახურებოდეს კერპნი მათნი, „ხოლო მოციქულმან გამოასხა ყოველი იგი ერი და მგოსნები. ხოლო იყო ქალაქსა მას შინა ბომონი საკერპო, რომელსა შინა იმსახურებოდეს ბილწნი ღმერთნი მათნი არტემი და აპოლონ.“ თუ მოვიგონებთ პავლე მოციქულის მესამე მოგზაურობას ეფესოში და აქ კერპებთან ბრძოლას არტემიდთან და აპოლონთან, უნდა დაერწმუნდეთ, რომ მცირე აზიაც და სამხრეთ საქართველოც მოფენილი ყოფილა ბერძენთა ღმერთებით და მათი სამსხვერპლოებით. მესხები იმდენადვე გააბრაზა ანდრიას მოსვლამ, რამდენადაც ეფესოს მცხოვრებნი პავლემ. მესხები მსგავსადვე ეფესელთა იძახოდენ შეშინებულნი: „არტემი და აპოლონ არიან დიდნი ღმერთნიო“ (ქ. ცხ. 57).

მეფე რევა ცოლად ბერძენთა იმპერატორის „ლოლოთეთის“ ასული სახელად სეფელია მოიყვანა. სეფელიას სამზითვოში სხვათა შორის ქალ ღმერთის აფროდიტას კერპიც გამოატანეს. ეს კერპი რევა „აღმართა თავსა ზედა მცხეთისასა“. ასეთი იყო წარმართ ბერძენთა ვაფლენა ქართველების რწმენაზე.

მღ. მ. კელენჯერიძე.

შემდეგი იქნება.

კიდევ პანუსი გაზ. „კავკასს“.

(С. П. Вѣдомости-იდან № 145) ქართულ გაზეთში დაბეჭდილი იყო (არა ჩემგან).

რომ მე თბილისის ქვაშვეთის ეკლესიაში ვაპირებდი წივრას 14 მაისს. როცა მე დეკ. ცინცაძემ შემატყობინა, რომ ეგზარხოსი წირვის ნებას არ მაძლევს, რადგან მე პირადად არ მითხოვნია მისგან ნებათვა, მაშინ მე საჭიროთ ვსტანი შემეტყობინებია ქართველებისათვის, რომ იგინი ტყუილათ არ შეკრებილიყვენ ჩემ გამოსათხოვრად, და ამისთვის გამოვაცხადე, რომ არ ვსწირავ, და ამასთან ვიხმარე საზოგადოთ მიღებული წინადადება, სახელდობრ: არ ვსწირავ ჩემდა დამოუკიდებელ მიზეზების გამო მეთქი.

აქ შეიძლება სხვადასხვა კერძო ხასიათის მიზეზების გულისხმობა: მაგ., ავითმყოფობა, შინაური გაჭირვება და სხვ. ანკი რათ დასჭირდა გაზეთ. „კავკასის“ უფლებით შემომს პირს აღქურვილიყო ჩემ წინააღმდეგ და დაეჯინებია, რომ მე არ შემეძლო მეთქვა რამე ჩემგან დამოუკიდებელ გარემოებაზე?

მე ვანა ვახსენე, რომ არ ვსწირავ სახელდობრ იმიტომ, რომ ეგზარხოსმა ნება არ დამართო მეთქი? საჭირო არ იყო გაზეთებში განგაშის ატება! არ უნდა მიეყვანათ საქმე იქამდის, რომ ჩემთვის ბრალი დაედვათ ფიცის, მოვალეობათა და საეკლესიო კანონთა დარღვევაში და მართებლობისადმი უპატივცემულობაში! თუ აქამდის მივიდა საქმე, დაე ჩვენც ნება გვიბოძონ ვილაპარაკოთ იმაზე, თუ როგორ სხვები, ჩემი ბრალმდებლები, ნამდვილად არ ასრულებენ ფიცს და საეკლესიო კანონებს.

შემდეგ მისაყვედურებენ, რომ არ გამოვეთხოვე ეგზარხოსს. არ გამოვეთხოვე მე ეგზარხოსს ინოკენტის იმ მიზეზით, რომ მე „პოდლეცი“ არა ვარ; მართალს ვამბობ ქრისტეს მიერ, არ ვსტყუვი, რომ მე ეგზარხოსს ინოკენტისთვის კული არ მინდა, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ნახევარი წლის განმავლობაში მე მისგან მარტოდენ შეურაცხება განმიცდია (სამი-ოთხი თვის უკან შემდეგ მისი ჩამოსვლისა), შეურაცხება მძიმე, დამამტკიცებელი; მე ვხედავდი მის ცხად ჩემდამო უგულობას. ამის შემდეგ მე ბუნებრივად უნდა მეგრძნო შეურაცხება, მწუხარება, და რომ მე ეგზარხოს-

თან შევსულიყავი, ჩვენი დარბაზობა წმინდა ფორმალური, ფარისევლური იქნებოდა. გულთ, სიყვარულით მუსაიფი ჩვენ არ შეგვეძლო; ჩემი ნაწყენობის და უკმაყოფილების გამოლაგება ეგზარხოსის წინაშე მოუხერხებელი იქნებოდა. მაშ რათ უნდა შევსულიყავ ეგზარხოსთან? გულწრფელი რომ არ ვიყო, არ შემეძლია.

მეტყვიან, რომ მე ყველასთან მშვიდობა უნდა ვიქონიო? საქვეყნოთ ვაცხადებ, რომ ეგზარხოსს ინოკენტისათვის მე ყოველი სიკეთე მსურს, როგორც სულიერი, ისე ხორციელი, მაგრამ ყოველ შემთხვევაში არ შემეძლია დავივიწყო, როგორ ვიტანჯებოდი სულით.

ჩემი ზნეობრივი ქენჯნა იმდენათ იქიდგან არ წარმოსდგებოდა, რომ ეგზარხოსი მოწყალის თვალით არ მიყურებდა, რამდენათ იმისგან, რომ მე ვხედავდი და ცოცხლად ვგრძობდი, თუ როგორ ყველაფერი საქართველოს ეკლესიაში მიმდინარეობს არა რუს-ქართველთა შესაერთებლად, არამედ მათ ურთიერთშორის დასაშორებლად. მე, როგორც სხვა ქართველები, დიდი მომხრე ვარ რუს-ქართველთა ახლო დაკავშირებისა, სიყვარულის, კეთილგანწყობილების, სახელმწიფო და კულტურულ-ეკონომიურ ინტერესების ერთობის ნიადაგზე; და მე ვიტანჯებოდი, როცა ვხედავდი, თუ ბევრის მდომი საეკლესიო მართველობის წარმომადგენელი როგორ ანადგურებდნენ იმ მკირესაც, რითაც შეიძლება სრულიად დაკმაყოფილება და არღვევენ მშვიდობიან საყვარულეგან დამოკიდებულებას რუსთა და ქართველთა შორის. ყველასათვის ცხადია, რომ ღვიძლი ძმები მხოლოდ მაშინ შეიძლება იყონ თანხმობით და ერთსულოვნობით, როცა უფროსი არ იმონებს უნტროსს, არ აიწარგებს მის „მეს“, არამედ პატივსცემს და ანგარიშს უწევს მის შეხედულებას, გემოვნებას, მოთხოვნილებას. ხოლო როგორც კი ერთი მათგანი დაიწყებს მეორის რწმენის, სურვილის, ჩვეულების აბუჩად აგდებას, მაშინვე დაიწყება მათ შორის გულგრილობა და განხეთქილება. ასევეა რუს-ქართველთა ურთიერთშორის დამოკიდებულობის საქმეში-

ა. მგერამ ამაზე დაწვრილებით შემდეგ მოვილაპარაკებთ.

დაბოლოს, მე ერთხელ კიდევ ვაცხადებ, რომ მე არავითარი ფიცი და საკუთარი მოვალეობა არ დამირღვევია მით, რომ პირათ არ ვსთხოვე ეგზარხოსს წირვისთვის ნებართვა. და განა მე ვსწირე? როცა გავიგე, რომ ეგზარხოსი ნებას არ მძღვედა, მე მშვიდობიანათ გავებარე. აი მე რომ წვერს ვიპარსავდე, მდიდრულად ვიცვამდე, ბევრ ფუჭმეტყველებას ვეწოდე, აგრეთვე მხიარულ გასართობ მუსაიფს, განსაკუთრებით მანდილოსნებთან, ვიჩენდე მამლის ამპარტანებას, ვტრაბახობდე, — რომ ღვედლომქმედების დროს მსმენელთა მოსაწონებლათ ვიპრანქებოდე, ე. ი. ვემსგავსებოდე არტისტს, რომ ეპარქია მქონდეს და 34 ეკლესიას ოთხ ღღეში ვათვალღერებდე, ე. ი. მხოლოდ სასიამოვნო სეირნობას ვეწოდე (რადგან თავისთავად ცხადია ოთხ ღღეში 34 ეკლესიის საფუძვლიანი მწყემსმთავრული დათვალღერება წარმოუღვენელია) და ეკლესიების დათვალღერების დროს გულ-გრილად გვერდი აუარო აღავერდის, იყალთოს შესანიშნავ ტაძრებს და შუამთის მონასტერს, აი სწორეთ მაშინ ვიქნებოდი ფიცისა და საეკლესიო კანონების დამრღვევი, მიტომ რომ ყველა ასეთი საქციელი განკიცხულია და აკრძალული მათში.

უნდა ვსთქვა, რომ ამ სტრიქონების დაწერის მიზეზი ის გახლავთ, ვინც გაზეთ „კავკასს“ ჩემ წინააღმდეგ წერის უფლება მისცა, — და მე ნუ გამიწყურებიან. მეც კაცი ვარ, მეც მაქვს თავმოყვარეობა! მომიტევენ, რომ მე ისე, როგორც ვაზ. „კავკასის“ მარწმუნებელი, არ გავედენთილღვარ ყოველთა მიტევების სულით.

ეპ. დავითი.

კ რ ი ტ ი კ ა ეკატერინე ვაბაშვილისა. IV.

მოთხრობაში „თამარის ნუგეში“ (გვ. 341) ღიდად პატრივტუმულს მწერალს საკმაოდ ცოც-

ხლად აწერილი ყავს მდიდარი, ლამაზი, დიდი გვარიშვილი, სამხედრო სამსახურში მყოფი ემანუილი კაცი გიორგი ედიშერაშვილი, რომელიც მოხუცებულ დედას უამბობს თვის გულის ნადებს. გიორგის შეყვარებია თავადი ივანე შავლაშვილის უშვენიერესი თამარი, რომელიც მისთვის „სუყველაფერია, ფერიუკ, ღმერთიც და ღიდაც“...

ეს ლამაზი, კეკლუცი თამარი სოფლის ტეტიათა დიდი მოტრფიალვა, რომელთა შვილების ასაზრდელად სასწავლებელს უმართავს, იმათ მასწავლებელს მიუჩენს და ღვედლსაც კარგად მომზადებულს გამოუძებნის სოფელს.

შკოლის გახსნის დღად საღვესასწავლო ღღეს გულკეთილი თამარი მთელ გღეხობას საღილად მიიპატიუებს, რომ იმათთან ერთად მხიარულად შეხვედეს ამ დიდ სამახსოგრო ღღეს და ყველამ ერთად დალიოს საღვეგრძელო ახლად გახსნილის სოფლის შკოლისა...

მაგრამ გიორგი ედიშერაშვილის საუბედუროთ, თამარი საცოლუ ყოფილა ღვეან ქართველიშვილისა, რომელიც აგრონომიას სწავლობს საზღვარ-გარეთ, რომ იქიდან დაბრუნების შემდეგ სოფელში დაესახლოს, გღეხებს მხარში ამოუღვეს და იმათი მეურნობა ევროპულ, რაციონალურ გზაზე დააყენოს და ისინი ნივთიერად გააღონიეროს.

თამარი ანუგეშებს ასეთი ამბის გამგონე გიორგის, რომელსაც გადაწყვეტილი აქვს მიატოვოს სამხედრო სამსახური, წავიდეს საზღვარ-გარეთ სასარგებლო სწავლის მისაღებად, რომ იქიდან მობრუნებულმა ნამღვილი სამსახური და პატრონობა გაუწიოს თავის დიდ მამულსაც და გღეხ-კაცებსაც.

— მერე შენც დაუჯერე და სამსახურს თავი დაანებე? — ამოოხვრით უთხრა შვილს ქეთევანმა.

— კიდეც და არც! იმ დღიდან, რა დღესაც პირველად თამარი ენახე ბედნიერი თავისის გღეხების ბედნიერებით, მე გადაწყვიტე სოფელში დაესახლებულიყავ, მაგრამ სოფელში დასახლება უთამაროდ თავის დღეში ვერ წარმომიდგენია. მე მხოლოდ მინდოდა გამეფარ-

თოვებია ის ვიწრო ასპარეზი, რომელზედაც თამარი მოქმედებდა და მე მისი თანაშემწე გამხდარვიყავ. მაგრამ, როგორც ხედავ, ჩემი აზრები სრულიად ჩაიშალნენ. თამარი სხვისი არის და მე მხოლოდ ის დამრჩენია, რომ ხელი მოვკიდო იმ საქმეს რომელიც უწმინდესი მოვალეობაა ყველა ქართველებისთვის, როგორც მითხრა თამარმა და მეც სრულიად ვეთანხმები“.

ასეთივე წინათ აღებული აზრით, ტენდენციით არის დაწერილი პატარა ფანტაზია „სამშობლო ხევსურისამ რა ჰქმნა“, სადაც გამოყვანილია ხევსურელი ლევან მთიშვილი, რომელსაც რუსეთში უმაღლესი სასწავლებელი დაუსრულებია იმ დროს, როცა მთელს ქვეყანას ჰუმანური აზრები მოედვა. ლევანი სამსახურში შედის, კაბუკობის დროს ყოველი გატაცება დაავიწყდება და მიაღწევს გენერლის ხარისხს.

ერთს სუფრაზე, სადაც ხნიერთა კრება გემრიელს სადილს მიირთმევდა და ყველანი რუსულად ბაასობდნენ, წამოხტება ქართული გაზეთის თანამშრომელი ყმაწვილი კაცი და ქართულად სიტყვას იტყვის. გენერალი დიდად მოხიბლული იმ სიტყვებით, რომელნიც პოეტის რაფიელ ერისთავის ლექსიდან „სამშობლო ხევსურისა“ იყო მოყვანილი, ორატორთან მიიქრება და მამობრივის გრძნობით გადაკოცნის მოსაუბრეს: გმადლობ, გმადლობ, რომ მომაგონე ჩემი მოვალეობა, ჩემი კაცური დანიშნულება, რომ ძალა მომეც უკვდავის პოეტის სიტყვებით კვლავ ფეხზე დავდგე და გვიან, მაგრამ მთელის ჩემის შერჩენილის ძალით ჩემს შავს კლდეებს დაუბრუნდე და მისს მცხოვრებთ, შეძლების დავგარად, ცრემლი მოვწმინდო და გაღიმების ძალა მივცე“.

მთელი ბროლისეულის კოშკი ერთ დიდ მატყლის საწყობად გადაქცეულა, რადგან მთელი ხეობის მთიულნი ძველადგანვე ცხვრის მოშენებას და მატყლით ვაჭრობას მისდევნენ. აი, ამ ბროლისეულსვე უბრუნდება მოხუცებულობის ეაშს გენერალი ლევან მთიშვილი, რომელიც ჩოხა-ნაბადში გამოწყობილია, თავზე ჩაბა-

ლახი დაუბურავს და მხიარულად შესძახებს ეკლესიის კარებთან შეგროვილ ხალხს: „გავიმარჯვეთ! ვიშოვე სამუდამო ვაჭარი ჩვენი მატყლისთვის, მოგება დიდი და დიდი გვექნება და ჩვენი მტერი ჩარჩი პირში ჩალა გამოვლებული დარჩება“!

ამავე აზრებით და გატაცებითაც არის დაწერილი საკმაოდ დამუშავებული მოთხრობა „გამარჯვებული ნიკო“ (გვ. 384), სადაც გამოყვანილია სოფლის ღარიბი ღვინის შვილი, სასულიერო სემინარიაში კურს დამთავრებული, რომელიც მასწავლებლად არის შევნიერო კახეთის ერთ სოფელში.

ეს მასწავლებელი აგვისტოს გასულს, როცა იგი თფილისიდან დილიჩანსით კახეთს მიდის, გზაზე გაეცნობა თავადის ასულს მართას, რომელიც იყო ქერივი აზნაურის კოშკადისა. მართა მიყვება კახეთს თვის ერთად ერთს ობოლს ქალიშვილს ლიზას, რომელსაც „ზავედენიაში“ კურსი ახალი დასრულებული აქვს და ისიც მასწავლებლად დაუნიშნავეთ კახეთის ერთ სოფელში, ნიკოს სოფლის მეზობლად. ნიკო და მეტად ლამაზი ლიზა გზაში საგრძნობლად დაუახლოვდებიან ერთმანეთს და პირველი სიყვარულის ვარდის კოკორიც რაღმე თავს საიმედოთ ამოყოფს.

თელავში მისვლისას ერთ დაოხრებულს, და ძველებულ სახლში, რომელსაც უცხო სტუმრების გულგასახეთქად თელავის „კუბეწები“ „ლოსტინას“ ეძახიან, მართა და ლიზა ვახშამზე გაეცნობიან კახეთის ერთს დიდი თავადის ვაჟს, იასონ ჯანბადრუკიანს, რომელიც საფრანგეთში იყო გაზრდილი და ამასთანავე მეტად შევნიერო შეხედულობის ვაჟაკიც გახლდათ.

ლიზა და იასონი ისე დაახლოვებით გაიცნობენ ერთმანეთს, რომ იასონი პირდაპირ ეუბნება ლიზას: „ოჰ, სოფლის მასწავლებლობა ყმაწვილი, გაზდილი და ლამაზი ქალისთვის, это нечто весьма грубое. Предоставьте это дело семинаристамъ.“ იასონი დიდი ბარაკიანი, ლამაზ-ლამაზი სიტყვებით პირდება,

რომ იგი ღიზას უფრო სუფთა, გულის გამართობელ საქმეს გაუჩენს.

ამ იასონს ჰყავს ხანში შესული მამა, ასე ნაწილად მიღწეული ლუარსაბი, აშვიკობით განთქმული მთელს კახეთში. იგი გაეცნობა ღიზას, რომელსაც მთელ საქართველოში ერთს უდიდეს დღეობა-ალავერდობაზე დიდის ამბით დაპატივებს. აქ მასწავლებელი ნიკო ყოველივე ოინებს ლუარსაბისას გაიგებს კარგად, რომელიც მისი მეოხებით პირში ჩალა გამოვლებული რჩება. მაგრამ სამაგიეროდ ნიკოს საშინლად გადაემტერება ლუარსაბი, რომელიც ქალაქს გასწევს, სადაც იგი სულ ადვილად მოახერხებს ნიკოს მასწავლებლობის ადგილი დაუკარგოს და ღიზაზე გადაკიდებულ შვილს იასონს კი სტავროპოლის გუბერნიაში მახრის უფროსის თანაშემწის ადგილს უშოვის.

მაგრამ ლუარსაბის ქალაქში ყოფნის დროს, მთელი ოთხი თვე გავიდა და ამ ხნის განმავლობაში დარღმინდმა იასონმა ღვთისგან მინიჭებული დიდი ტალანტი საღახანობისა მთელის ძლიერებით გაშალა და უბედურს ლამაზ ღიზას, რომელსაც პატიოსნებით შემკული მასწავლებელი ნიკო აფრთხილებდა, ნამუსი ახადა და სულ-ხორციანა დაღუპა იგი...

კახეთს განშორებული ღიზა, რომლის გაუბედურებამ თან ვადიტანა დედა იმისი, თფილისის მიდის, იქ მტკვარში გადავარდება და დაიხრჩობა, ბედდამწვარი ნიკო კი ულაგოდ დაეხეტება თფილისის არე-მარეზე და ბუღვარსა სტკეპნის...

ხომელი.

შემდეგი იქნება.

ჩვენებური „დონოსები.“

ჩვენი ქვეყნის რაინდნი და მოამაგენი მეტ პატივისცემას ვერ ახერხებენ, გარდა იმისა რომ „დონოსები“ შეუტანონ პატიოსან მკუდრო მოღვაწეებს. სწორეთ რომ გასაკვირია ჩვენი საქმე: ჩვენ საქმეს ჩვენივე ხელით ვახდენთ და სულ რისთვის? რალაც მკირეოდენი ნაწყენობისთვის, ან კიდევ მისთვის, რომ ერთი გოჯი წავიწიოთ სამ-

სახურში და უფროსებს ვაამოთ. ამას წინათ ვილაკ ქვეყნის მტერს და ისიც სხვისი სახელით საჩივარი გაუგზავნია სინოდის კონტორაში მოწამეთის არქიმანდრიტ ნესტორზე. არქიმანდრიტ ნესტორზე თუ საჩივრის შეტანა შეიძლება, ჩვენ ვერ წარმოვიდგენდით: ადამიანს არავისთან ნაწყენობა არ მიუძღვის, არა დაუშავებია რა, ბევრიც გაუკეთებია და მასაც კი მოუხერხეს ჩივილი! ეს მხოლოდ ქართველს შეუძლია!

ვინც მ. არქიმანდრიტს დაახლოებით იცნობს, ადვილად გაითვალისწინებს, რომ მას დროც კი არ რჩება რამე სეინდისის წინააღმდეგი საქმე ჩაიდინოს. კანონით დადებულ ღვთისმსახურებას რასაც დროს გადაარჩენს, მ. არქიმანდრიტი ან მონასტრის საქმეებს აკეთებს, ან წერს და კითხულობს. დიდი ხანი არ არის მას აქეთ, მან რომ მოწამეთის არქიმანდრიტობა მიიღო და ამ ცოტა ხნის განმავლობაშიაც დიდი კვალი დააჩინა მონასტერს. სხვა რომ არაფერი უნაგარიშოთ, მხოლოდ ერთი წყაროს წყლის გამოყვანა რათ ღირს იმ მონასტრისთვის, რომელიც თითონაც წვიმის წყალს ხარჯობდა და მლოცველებსაც ამით უმასპინძლდებოდა. ამავე ხნის განმავლობაში რამდენიმე სარწმუნოებრივ ზნეობრივი წიგნაკები სთარგმნა, რომელთაგან ზოგი ჯერ კიდევ გამოასცემია. უნდა აღენიშნოთ ისიც, რომ აგერ ოცდაათი წელიწადია, რაც იგი ეკლესიასა და სწავლა-განათლების საქმეს მსახურობს, და ამ ხნის განმავლობაში ერთი შენიშვნა რა არის არავისგან მიუღია, მის ზნეობრივ სიფაქიზეში ეჭვი არავის შეუტანია. და აი ასეთი ადამიანი მოხუცებულობაში ფუჭდება, როგორც „დონოსი“ ამტკიცებს: თავის მოვალეობის ასრულებას გაურბის, ქორწილებში „შაფერათ“ დაიარება, მონასტერს ფლანგავს და რყენის, კუნკულის რცხვენია და „შლაპებში“ დაიარება და სხვა და სხვა! სასაცილოა, რომ სატირალი არ იყოს ჩვენი ასეთი ურთიერთზე გაბოროტება! გასაკვირია, რომ მართებლობაც ყურადღებას აქცევს ისეთ უსინიდისო „დონოსებს“ და საჩივრებს, რომლის სიყალბეც მან კარგათ იცის!

ნამდვილი დამნაშავენი კი დაუსჯელი რჩებიან ქვეყნის საცთურათ!

ხელი.

კვირიდან-კვირამდე.

გურია-სამეგრელოს სამრევლო შკოლების ეპარქიის სამოსწავლო საბჭო დ. ახალსენაკიდან ისევ ქ. ფოთში დაუბრუნებიათ. მიზეზი არ ვიცი და ურიგო არ იქნება, ვინმე სენაკელი მოძღვარი მოკლეთ დაგვიხატავდეს ამ გარემოების მიზეზებს. ახლად გადატანილ საბჭოს თავმჯდომარეთ დეკ. ქანტურაია დაუნიშნავთ.

ყოვლადსამღვდელო გიორგი უკვე ჩამობრძანდა ქუთაისს 7 ივლისს. 16 ივლისს სააგარაკოთ ბორჯომს გაემგზავრება.

ქუთაისში ამ ჟამად ქართული საეკლესიო გალობის კურსებია. გალობის მასწავლებლად მოწვეულია სოფ. ზეგნის სამრევლო შკოლის მასწავლებელი ვარლამ გორგოძე. კურსებზე ოცდაათამდე მასწავლებელია—სულ შორაპნის მაზრიდან. მასწავლებლებს ხარჯის ფულს არ აძლევენ, ამიტომ ბევრი წავიდა და ბევრიც წასვლას აპირებს უსახსრობის გამო.

ლოთობა. 1)

ჩვენი საუბრის საგანს გულისხმიერ მკითხველთა წინაშე შეადგენს ერთი იმ ყოველ დღიურ ჭირ-ვარამთავანი, რომელიც კეთილ-გონიერ ადამიანს მუდამ გულს უწყლავს, სულს უშფოთებს და უკარნახებს მის ძირიან-ფესვიანათ ამოგდებამზე ხალხის გულიდან. ეს ისეთი

¹⁾ ქურხალ „განათლების“ 3 ნომერში ბ-ნი გ. წყალტუბელი ვხვებ. ჩვენში ლოთობას და გამოსთქვამს სურვილს, ამ საგნზე საჭირო იყო ჩვენებურ ეჭიშვებს გამოეთქვათ თავიანთი აზრი, თუ რამდენად მავნებელია ლოთობა და რა საშუალება უნდა იხმაროს კაცმა მისი თავიდან ასაცილებლად. ცოტაოდნად მაინც, გვგონია, ეს ჩვენი საუბარი ლოთობაზე მასალის ადგილს მაინც დაიჭერს ამ თემაზე.

ავტორი.

სენია, რომლითაც მთელი კაცობრიობაა შეპყრობილი და რომლის განსაკურნებლად განათლებულ ქვეყნებში მრავალი კეთილი შედეგისანი ზომებია მიღებული. ამ სენს ყველა სენზე შედარებით მეტი კაცი უმსხვერპლია, გაუსტუმრებია საიქიოსკენ და კიდევ დიდ ზიანს მოიტანს, თუ შესაფერისი ზომები არ იქმნა მიღებული მის მოსასპობად. ჩვენ ვამბობთ **ლოთობაზე**. რომ ნათლად წარმოვიდგინოთ ლოთობის დამახასიათებელი თვისებანი, მისგან წარმომდგარი ზიანი და ის საშუალებანი და ზომები, რომელთა მეოხებითაც, მასთან შედგარის ბრძოლის შემდეგ, შეიძლება მისი აღმოკვეთა, ჩვენ აზრად გვაქვს ცოტა შორედამ დავიწყოთ საგანი საუბრისა, რისთვისაც წინასწარ ბოდიშს ვიხდით პატივცემულ მკითხველთა წინაშე. ჩვენ გვინდა, თუ შევძელით, ამ საგნის მხარეები სისწორით ავსწონ-დავსწონოთ, გავიგოთ მისი სიგძე-სიგანე, მისი სწორ-უპოვრობა, მისგან წარმომდგარი ბედ-უბედობა, რომ მთელი მისი არსებით დასურათ-ხატებული ყველას თვალწინ წარმოუდგეს იგი.

ბუნებაში, რაც კი რამ მოიპოვება, ყველაფერი ადამიანისთვისაა გაჩენილი. კაცი ბუნების ბატონ-პატრონია, მასზე მალდა სდგას. ბუნება მისთვისაა, მას შეუძლია ყველაფერი თვის სასარგებლოდ შექმნას, მავნებელი თვისება მისი გააუმჯობესოს, გააკეთილშობილოს და სასარგებლოდ გამოიყენოს, კაცობრიობა ბუნების ბატონ-პატრონად ერთბაშად არ გამხდარა, ის თან-და-თან იძენს ნიქს და გამოკდილებას, ყველა ბუნების ძალები თვის სასარგებლოდ გახადოს და მით ცხოვრება გაიადვილოს, იდეალურ ცხოვრებას მიაღწიოს. ბევრი რამ არის ჯერ კიდევ დამალული და სიბნელით მოკული, რომლისაკენ კაცის ბუნებას ვერ მიუხეწვია, რომელიც, დღეს რომ მას მიუწოდებლად მიიჩნია, შეიძლება, ხეალ, ზეგ, ადვილი მისაღწევი და მოსაპოვებელი შეიქმნეს; რასაც აქნამდის უსუსურ ბავშვივით ეპოტინებოდა და ვერც იშოვია, ან ისეთი რამესთვის უნდოდა მოეკიდნა ხელი, რომელიც მისი გამანადგურებელ-გამაუბედურებელი იყო, შეიძლება შემდეგ ხანებ-

ში, მომზადებული ძალ-ღონით, შეიარაღებული ფარ-ხმალით და ნიჟ-კოდნით, მტკიცედ ჩაჰქიდოს ხელი, მავნებელი და ურგები იქით გადისროლოს, ფეხ-ქვეშ გასთელოს და საქირო და სასარგებლოს მეტი ენერჯით მოეკიდოს. ადამიანი რომ „სისრულემდე“ მივიდეს, ჯერ ეს დრო შორსაა, ამისათვის დიდი ხანია საქირო, მაგრამ იგი (ადამიანი) დღესაც ეტყობა, რომ პირველ-ყოფილ; პატრიარქალურ მდგომარეობიდან გამოსვლას ლამობს და მიისწრაფვის „სისრულისაკენ“; სანამ „სანატრელი დრო“ დადგებოდეს, ზოგიერთი ცხოვრების მომწიფებული კითხვები თავის თავად იბადებიან, საქირობენ ახსნა-განმარტებას და ცხოვრებაში განხორციელებას. ერთ ამ კითხვათაგან ღირს-შესანიშნავად და საყურადღებოთ მიგვაჩნია ჩვენ ამ ჟამათ **ლოთობა**. საიდან წარმოსდგება ლოთობა?²⁾

დედა-მიწის გულიდან აღმოცენებულია მრავლისაგან მრავალი მცენარეები. ერთი წყება მათი იწოდება „ტენიკურ“ მცენარეებათ, მეორე „გემრიელ და მსაზრდოებლად“ და ზოგიც „წამალია“. მცენარეები, მეცნიერების გამოკვლევით, ყოფილა 150,000 ჯურისა. ყველა ამ მცენარეებში კაცისთვის საინტერესოა მხოლოდ მისთანა მცენარე, რომელიც ასე თუ ისე სასარგებლოა. ეს ყოველთვის ასე იყო და იქნება. „ჯერ უსაქიროესი, მერე სასარგებლო და დაბოლოს კი სასიამოვნო“. აი ამ წესით ხელმძღვანელობდა ადამიანი, როდესაც ის მცენარეულობას ხმარობდა. ყველა ხალხს, ყოველ დროში მხოლოდ ისეთი მცენარე მიაჩნდა, რომელიც ცხოვრებაში გამოსადეგი იყო. ცოლა, ქონი და ნახშირ-მზადი არიან მიუცილებელი შემადგენელი ნივთიერებანი ჩვენს საქმლისა. რადგან მარტო ისინი მეთვე და უგემურია, ამისათვის ადამიანის საზრდოთ საქიროა **შესანელებელი** ნივთიერებანი. ერთ-ერთი სა-ნელებელია ღვინო.

²⁾ ძალიან საქიროა, რომ მღვდლები სახალხო კითხვებს გამართავდნენ და ამ სტატიებს დრო დროზე წაუკითხავდნენ ხოლმე. გვსურდა მუქთად დასარიგებელ წიგნაკებათ გამოგვეცა, მაგრამ ხელმოკლეობამ ნება არ მოგვცა. რედაქტორი

ის მცენარე, რომლისაგანაც ღვინო გამოდის, როგორც ვიცით,—არის **ვენახი**. ვენახისა და ყურძნის მნიშვნელობას ადამიანი ადრე მიხვდა. რამდენიმე ათასი წლის წინათ ქრისტეს დაბადებამდე ცნობილი იყო ყურძენი ეგვიპტეში და აღმოსავლეთის ქვეყნებში. საშვალ ეგვიპტეში ტელ-აბრონის სამეფოს აკლდამების ქვების წარწერიდამ სჩანს, რომ მე-16 საუკუნეში ქრისტეს დაბადებამდე ყოფილა ბალები, რომლებშიაც სხვა მცენარეთა შორის იყო ვაზი. ვენახი გავრცელებული იყო მთელს დედამიწაზე, განსაკუთრებულ მის სამშობლოდ ითვლებოდა პალესტინა (ურბისტანი), იმის გაშენებას ხელს უწყობდა იქაური კირ-ნარევი ნიღავი და ჰავა. ლიბანის ღვინო ახლაც ქებულია.

ჩვენს ქვეყანაში,—საქართველოში, ძველადვე ყოფილა ვაზი, აგრეთვე ყოფილა ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთის ნაწილში, საიდანაც გადავიდა ევროპაში; მღვინეობა დიდს წარმატებაშია საფრანგეთსა, იტალიასა, გერმანია-სა და ავსტრალიაში.

მღვ. კ. ანთაძე

შემდეგი იქნება

ვაი ჩვენს სირცხვილს, თუ მართალია?!...

„მოყვარეს პირში უძრახე, მტერს ზურგს უკანო“.

ამ წლის გაზეთ „შინაური საქმეები“-ს №17-ში მოთავსებულია „დამსწერს“ წერილი, რომელიც შეეხება შორაპნის საბლალოჩინოს საღვდლოების კრებას. სხვთა შორის ბატონი „დამსწერე“ წერს: „კრებამ კარგათ ჩაიარა, მაგრამ ბოლოს ცოტა კამათი შეიქნა გაზეთ „შინაური საქმეები“-ს შესახებ. ბლალოჩინმა უთხრა სამღვდლოებს, გაზეთი „შინაური საქმეები“ მთლად სამღვდლოების ლანძღვა—გინების მეტს არაფერს არ აკეთებს, არაფერი იმაში ჩვენი სასარგებლო და სერიოზული არ არის. ამისთანა გაზეთით რათ გვინდა და ისიც ისე ძვირიო“, რაზედაც სამღვდლოების კრების ერთ წევრს მღ. მ. გ.

მალრადეს შესაფერისი პასუხი და შენიშვნა მიუცია მ. ბლალოჩინის დ. სუხიაშვილის უსამართლო განცხადების შესახებ. ჩვენ არ გვინდა დავიჯეროთ, თუ ეს ფაქტია, მაგრამ ნება-უნებლიეთ უნდა დავიჯეროთ, რადგანაც მ. ბლალოჩინს „დამსწრეს“ წირილზე ხმაც არ ამოუღია და ხმის ამოუღებლობა და სიჩუმე კი თანხმობის ნიშანია, იტყვიან. კიდევ ვიტყვი, რომ ეს სამწუხარო ამბავი დასაჯერებელი არ უნდა იყოს და თუ მართალია, არ ეპატივება არც ერთს სამღვდლო პირს და მით უმეტეს ბლალოჩინს, რომელსაც მეტი მოეთხოვება.

ჩვენზე მონდობილი ხალხი და სამწყსო ხშირად გვისაყვედურებენ ლანძღვა-გინებით, რომ მღვდლები წირვა-ლოცვისა და ქამის მეტს არას აკათებენ სოფლებშიო; ეურნალ-გაზეთებს არ იწერენ, არ კითხულობენ, არ ვითარდებიან, არ ადევნებენ თვალ-ყურს თანამედროვე ცხოვრებას, ლიტერატურაში არ შრომობენ, ქუდი რომ შეუგდოთ ბიბლიოტეკა-სამკითხველოში, გამოსატანათ არ შევლენ: ან სხვას შეაგზავნიან, ან სულაც იქ მიატოვებენ, რითაც ბევრად ჩამორჩენილი არიან ჩვენ ერისკაცებზეო და სხვა. და ნუ თუ ასეთ დროს ასეთი მაგალითი სამარცხვინო და სამწუხარო არ არის? ისიც კიდევ მაშინ, როდესაც ამას ჩადის არა უბრალო და უსწავლელი მღვდელი, არამედ მთელი საბლალოჩინო ოლქის სამღვდლოების წარმომადგენელი, კეთილ-მოწესე, სემინარიელი მოძღვარი. და ისიც როდის და რადროს? მეოცე საუკუნეში, როდესაც დიდი დაპატარა, ღარიბი და მდიდარი, კულტურის გზას ადგია, წინსვლას და განათლებას ესწრაფება! მე ვფიქრობ, ყოველმა კეთილმოწესემ კეთილი მაგალითი უნდა უჩვენოს და კეთილ წესიერება დაიცავს თავის თანამომემ სამღვდლოების წრეში, კეთილ გზაზე უნდა დააყენოს ყოველი სამღვდლო პირი, თორემ მარტო კრების მოხდენა და ცირკულიარების მშრალი კითხვა ვის რას არგებს?!

თუ მ. ბლალოჩინს „შინაური საქმეები“ არ მოსწონს პირადათ და უკმაყოფილოა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ გაზეთის გამოწერა

ყველას უნდა აეკრძალოს, ან დასაწუნარი იყოს და ძვირად ღირდეს. „შინაური საქმეები“, უნდა ითქვას, პირუთენელი, მიუღგომელი და გულ-აბდილი გაზეთია და ასეთი უნდა იყოს. რა გაზეთი იქნება ის გაზეთი, რომელიც პირმოთენობას და ცალმხრივობას ეწევა! და თუ ასეთი მისი ხასიათი ვისმე ეჩოთირება და ვერ თმენულობს, ვეტყვი: „აქს ნუ იზამ და ავისაც ნუ გეშინია“. მთელს საეგზარხოსოს, ანუ უკვეთ რომა ესტკვათ, მთელ საქართველოს სამღვდლოებას ერთად ერთი გაზეთი „შინაური საქმეები“ გვაქვს მაშინ, როდესაც ამავე საეგზარხოსოში ამ ჟამად ათი პერიოდული გამოცემა გამოდის, მათში ხუთი ქართულია და ხუთი რუსული და ნუ თუ ისე დავკვივით დიდ და დავწვრილმანდით მეოცე საუკუნის ქართველი სამღვდლოება ზნეობრივად და ეკანომიურად, რომ ერთადერთი გაზეთის არსებობასაც არ შეუწყობ ხელი?!.. როდესაც ერთს რომელიმე გაზეთს ვიწუნებთ, მეორე იმავე დროს უკეთესი უნდა გვეკონდეს; აბა გვიბრძანეთ, მ. ბლალოჩინო, რომელი გვაქვს ჩვენ სასულიერო უწყებაში უკეთესი გამოცემა ადგილობრივი, ან უცხო ენაზე, რომ

„შინაური საქმეები“ ავითვალწუნოთ და ის მოვიწონოთ? თუ სასურველია ვისთვისმე, რომ აღარც ეს გაზეთი გვექნეს და მთლად გადავარებისა და დაჩლუნგების გზას დავადგეთ?!.. რაც შეეხება სიძვირეს, ამაზე ლაპარაკი მეტია. ალბათ ეძვირება იმათ, ვისაც წაკითხვის სურვილი არა აქვს. „შინაური საქმეები“ არა თუ ძვირია, პირიქით ძალიან იაფია და ყველასთვის ხელ მისაწოთმია. ნუ თუ ის ნაძალადევათ და ძალა-უმაღურათ გამოწერილი გაზეთები, რომლებითაც ყველა ჩვენგანი ვერ სარგებლობს და მაინც ძალათი გვატენიან ხელში, 3—4 მანეთი იაფია და მშობლურ ენაზე გამოსული ერთად ერთი გაზეთი, რომელიც სიმართლეს ემსახურება, რომლით სარგებლობაც შეგვიძლია ამავე ფასათ ძვირია? ან შეიძლება, იმიტომ არავის მოწონს და ეძვირება, რომ ამ სიმპატიური გაზეთის რედაქტორად ისევე ჩვენი შინაური თანამა არის

და არა უცხო ვინმე? ტყუილად კი არ ამბობენ: „შინაურ მღვდელს შენდობა არ აქვსო“... ჩვენ იმედი გვაქვს, რომ მამა რედაქტორი ერთისა და ორი პირის აზრს ყურადღებას არ მიაქცევს და ჩვეულებრივი სამართლიანობით და ენერგიით განაგრძობს შრომას და ჩვენც მისი თანამოძმე სამღვდელთა მუდამ მზათ ვიქნებით თანაგრძნობა გაუწიოთ და ხელი შევეწყუოთ მას და მისს გამოცემას.

მღვდელი ბესარიონ გაშაძე.

რა მიზეზია?

ჩვენი საეკლესიო სამრევლო შკოლების საქმეს წინმსვლელობა არ ეტყობა და სულ უკან-და-უკან მიდის. ძნელი წარმოსადგენია რა ალფრთოვანებით შეეგება ამ შკოლების გახსნის საქმეს იმერეთის სამღვდელთა. მთელი 10—15 წელიწადი თავის მხრებზე ატარა მან იგინი და თავის ღარიბ ლუკმას პირში იძრობდა, რომ შკოლისთვის სული ჩადგა ერისა და სარწმუნოების საკეთილდღეოთ. მართებლობაც ადგილობრივი და არა ადგილობრივიც თითქო ძალიან ხალისით ეკიდებოდა ამ საქმეს და თუ საქმით არა, სიტყვით მაინც ბევრს რამეს გვიპრდებოდა. ერთი სიტყვით, დასაწყისი ისეთი იყო, რომ ქვეყნის დაქცევას ვიფიქრებდით და სამრევლო შკოლების ჩამოქვეითებას კი არა. დღეს კი წინააღმდეგის მოწმე ვართ. რა მოხდა? ის, რომ სასულიერო მთავრობამ ახლობელმა და შორებელმა ხელი ააღო ამ საქმეს და ახალი შკოლების გახსნის მაგიერ ძველებსაც გვიხურავენ, ვითომდა სხვადასხვა პატრესადებ მიზეზების გამო. წვრილ შკოლებზე ნურას ვიტყვით, რომლებიც ყოველდღე იხურება, ხოლო ასეთი შკოლის დახურვა, როგორც მეორეკლასიანი შკოლაა, სწორეთ მოგახსენოთ, შეუწყნარებელია და გაუგებარიც.

ამ დღეებში იმერეთის სამოსწავლო საბჭოს ცნობა მოუვიდა ამაღლების მეორეკლასიანი შკოლა ენკენისთვიდან აღარ იარსებებსო. (?)

ეს შკოლა და სხვა ამის მსგავსი შკოლები, როგორც ვიცით, უმაღლესი ბრძანებით გაიხსნა და ამავე წესით უნდა დაიხუროს, თუ დაიხურება; მაგრამ ამავე დროს გასაკვირვალის რჩება მისი თანამოძმეების არსებობა. რა მიზეზია? თუ მეორეკლასიანი შკოლა ვერ ამართლებს იმ იმედებს, რომლებსაც მათე ამყარებდნენ, მაშინ ან უნდა გადაკეთდეს მიზნის დაგვარად, ან ყველა უნდა დაიხუროს და არა მხოლოდ ამაღლების შკოლა; და თუ ყველა დაიხურა მაშინ ნეტა რას მომწყესავს, რას უთვალყურებს ამდენი მწყესი და მეთვალყურე, ნუ თუ მხოლოდ ორიოდ წერაკითხვის შკოლას, რომლებიც ძლივს სულს დაფავენ საღდაც საეკლესიო სენაკებში? ნეტა რა საჭიროა ეს საბჭოები, ეს საოლქო, საეპარქიო და სამაზრო მეთვალყურეები, განყოფილებები და სხვა და სხვა? ვის უნდა მწყსიდენ, ვის უნდა პატრონობდენ ამდენი მწყესები, ნუ თუ მხოლოდ თავთა თვისთა? კარგია, რა თქმა უნდა, დიდი ჯამაგირი და თავისუფალი, უზრუნველი საშინაური, მაგრამ განა ეს არის მეფის აზრი, რომ მუქთა ხორები შეინახოს? ამას მოითხოვს საეკლესიო შკოლების ის მიზანი და დანიშნულება, რომელიც ხელმწიფე იმპერატორმა სასარგებლოთ სცნო და უმაღლესად დაამტკიცა?

სადა გვყავს ახალი მეთვალყურე ბ. ავერკიევი, რომელიც დიდ იმედებს გვაძლევდა? ნუ თუ მისი პირდაპირი მოვალეობა არ არის გადაარჩინოს ეს შკოლა დახურვის ხიფათს? ხალხი აიძრა შკოლის დახურვის წინააღმდეგ, ბ. ავერკიევი კი დაფნებზე განისვენებს და ყურსაც არ იბერტყავს. მას დავიწყენია, თუ არ სცოდნია, რომ მისი მოვალეობა შკოლების გამრავლებაა და არა დახურვა და შემცირება. შეიძლება არც დავიწყნოდეს და კიდევ იცოდეს, მაგრამ უფროსების ერიდებოდეს. არც ეს არის ცუდი თვისება: რა თქმა უნდა, უფრო მალე დაწინაურდება.

ამბობენ უწ. სინოდის სამოსწავლო საბჭომ არაფერი იცის ამ შკოლის დახურვის თა-

ობაზეო. სწორეთ ასეც უნდა იყოს, ამ საქმეს სწორეთ ადგილობრივი ქათრველ ერის მტერ-მოყვარე—ოლქის საბჭო უნდა აწარმოებდეს მამა პაშკევიჩის თაოსნობით, რომელმაც ღირსად არ სცნო პასუხი მიეცა ხსენებულ შკოლის მზრუნველის ტელეგრამაზე შესახებ შკოლის ბედისწერისა და რომელიც ზიზლით გადმოუგლო გამგეს, მამა ზ. მჭედლიძეს ამ სიტყვებით: „ასე უთხარი შენ მზრუნველს მე ვალდებული არა ვარ ყოველ გამგელე-გამომვლელს ანგარიში ვადლიოთქო.“ როგორ მოგწონსთ, მკითხველო, ასეთი პასუხი! ასეთი გამგეების ხელში რა კეთილი საქმე გინდა, რომ მეორე დღესვე არ დაინგრეს და ხალხმა სრულიად ნდობა არ დაკარგოს სასულიერო მთავრობაზე? ეოსტიარგოვის ღვიძლი შვილი ეოსტიარგოვის კვალზე ივლის, —კვიცი გვარზე ხტისო. ნათქვამია.

ამაღლებელი.

ხმა სამრევლო შკოლის მასწავლებლისა.

რომ სხვა მოთხოვნილებათა შორის საპედაგოგო კურსების მომართვა უფრო საჭიროა სოფლის შკოლის მასწავლებლებისათვის, ეს მგონი, ყველასათვის ცხადია, მაგრამ საუბედუროდ ჩვენი სამრევლო შკოლების მთავრობა და ხელმძღვანელები ამ საგანს ან სულ არ აქცევენ ყურადღებას, და თუ ვინცობაა ყურადღება მიაქციეს და მოაწყვეს, გამოვა ისე მოუხერხებლად, ისე ცუდათ, რომ სარგებლობის მაგიერ ზარალს უფრო მისცემს მასწავლებლებს. ამის მაგალითს ცხადად წარმოგვიდგენს წრევანდელი კურსები. წელს დამდეგ ივლისისათვის მოიწვიეს სამრევლო სკოლის მასწავლებლები კურსებზე, საეკლესიო გალობაში სავარჯიშოთ, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, კურსების დამარსებლებს არავითარი წინათ შედგენილი გეგმა არ ქონიათ, ასე გასინჯეთ, ისიც კი არ მოუფიქრებიათ, თუ რომელი კილოს შესწავლა უფრო საჭირო იქნებოდა მასწავლებლებისათვის, და მაშინ დაიწყეს კითხვა, ხუნდაძის კილო გვიჩვენია თუ სხვაო, როცა კურსები უკვე გაიხსნა. განსაკუთრებით ბევრი მასწავლებლები ჩამოვი-

დნენ შორაპნის მაზრიდამ ადგილობრივ სკოლების მეთვალყურის მ. იაკობის მუქარა მიწერილობის გამო, რომელშიდაც არის სხვათა შორის მოხსენებული: „გედლევათ ხარჯის ფულად თვეში 20 მანეთი და თუ არ გამოცხადდებით, რაც მოგივათ თქვენ თავს დააბრალებთო“; რომლის ძალით კიდევ ჩამოვედით ქუთაისში, გამოვეცხადეთ მთავრობას ხარჯის ფულის მიხაღებათ, მაგრამ ასე გვიპასუხეს: „ჩვენ მხოლოდ ისინი დავიბარეთ, ვისაც სურდა გალობის შესწავლა თავის ხარჯით, ამიტომ ხარჯის ფულად ერთი კაპეიციც არ მოგეცემათო“. ამის გამო ყურები ჩამოგყარეთ და შინისაკენ ვეშურებით. მასთან ვუმცხადებთ უკმაყოფილებას მას, ვინც ტყუილად მოგვხარჯიანა ისედაც დაღარიბებული მასწავლებლები. კიდევ არ შემძლია დავიფიწყო ის გარემოება, რომ ერთმა საბჭოს წევრმა დაქადნით გვითხრა: „რადამც ჩამოღით, არავინ წახვიდეთ, თორემ დაისჯებითო“. ნეტავ ეს ვაჟბატონი რომელი კანონის ძალით გვემუქრება?! უმრავლესობა არ უჯერის და მიდიან სოფლისაკენ. როდის იქმნება უბადრუკ მასწავლებლებს მზის შუქი მიაღგეს?...
მასწავლებელი.

უცხოეთის მიმოხილვა.

გაგრძელება*

უფრო ძლიერია ნაციონალ-ლიბერალური ინტელიგენცია იქ, სადაც აფიკრობა მიემზრო ამ პოლიტიკურ პარტიას. სწორედ ასე მოხდა ოსმალეთში. ოსმალეთი, რომ თავის თავი დააარჩინოს ურიცხვი მტაცებლებისაგან, რომელთაც იმისთვის თვალი არ მოუშორებიათ, რომ ერთ შევნიერ დღეს სულ ერთიანა დაღეწონ იგი, იძულებული შეიქნა დაერაზმა ნამდვილი ევროპიელი ძლიერი არმია. თანამედროვე არმია თხოულობს განათლებულ აფიკრობას; ამიტომაც, ოსმალეთის ბრძანებელმა შექნა ისეთი აფიკრობა, რომელიც მოამზადა და განავითარა ნემენცებმა და ფრანკუცებმა. ევროპულ განათლებასთან ერთად ოსმალეთის აფიკრობამ შეითვისა ევროპული იდეებიც. ძლიერმა ლი-

*) იხ. „ზინ. საქ.“ № 24.

ბერალურმა მოძრაობამ მოიცვა მთლად არმია და, ანაირად, შექმნა ძალა, რომლის მეოხებითაც ახალგაზდა ოსმალებმა ძირს დასცეს თვითმპყრობელობა და დაიარსეს სრული პარლამენტალური რეჟიმი. სწორედ ამგვარი ამბავი მოხდა ახლა ხან ჩინეთშიაც. ევროპის და იაპონიის ინსტრუქტორებისგან გაწრთვნილი აფიცრობა სულ ერთიანა მიემხრო რევოლუციას და ამგვარად დაარსდა ჩინეთის რესპუბლიკა.

ინტელიგენციის ნაციონალ-ლიბერალურ მოძრაობასთან ერთად აღმოსავლეთში დაიწყო მდამბო წრეების, უბრალო გაუნათლებელ ხალხთა ნაციონალურ-რეაქციონური ძლიერი მოძრაობაც. რკინის გზების გაყვანისთანავე აღმოსავლეთი აივსო ევროპული საქონლით. ძველებური შინაური ხელსაქნარობა, ფეიქრობა და ამქრობა იღუპება. იქ იმართება და ეწყობა ნამდვილი ევროპული ფაბრიკები და ზაფოდები, თან-და-თან ვითარდება ევროპული სამთომადნო მრეწველობა, ყოველგან დიდ-დიდ ქალაქებში მოედვა ევროპული სავაჭრო ფირმები და სოცდაგრობა. ესენი, რა თქმა უნდა, დიდ კონკურენციას უწევენ ადგილობრივ ვაჭარს და ადგილობრივ მუშის ექსპლოატაციას, გაყვლეფს ეწევიან. ძველი ნატურალური მეურნობა შესცვალა კაპიტალისტურმა და გააღმერთა უსულლო ლითონი—ფული. ამ გარემოებამ წელში გასწყვიტა გლეხ-კაცობა და იგი ვალებში იღრჩობა. უცხოეთიდან მოსულნი, გადამთიელნი ვაჭრები დიდს სიმდიდრეს და სახელს იხვეჭენ აღმოსავლეთში; ძველი ცხოვრება და ჩვეულება ინგრევა. ამ ეკონომიურმა ქარტახილმა, რომელმაც სულერთიანა მოსპო ძველი ცხოვრების საქმეთა მიმდინარეობა, გამოიწვია ხალხის გულში დიდი უკმაყოფილება და გამწარებული გრძნობა. ხალხის დიდი სიძულვილი და ზიზღი უცხო ევროპელების და მშობელი ქვეყნის ლიბერალი შვილების წინააღმდეგ არის მიმართული, რადგან ეს ლიბერალები ევროპელებს ზაძავენ ყველაფერში. ბძოლის საშვალეობას ეს ხალხები ხედვენ უცხოელების დარბევასა და აკლებში. მიზანი ამ გამწარებული მოძრაობისა

არის ის, რომ ცხოვრების დაძველებული, წრეს გადასული ფორმები შეინარჩუნონ და უცხოეთიდან შემოტანილ ახალ ფორმებს გაუმკლავდნ. აღმოსავლეთის ფანატიზმით მოცული ხალხები გაშმაგებული ებრძვიან ევროპული კაპიტალიზმის განვითარებას, რომ ძველებური, მამა-პაპური შრომის პირობები დაიცვან და შეინარჩუნონ. უნდათ ისევ ძველი ზნე-ხასიათი, ძველი ჩვეულება, ძველი რელიგია, ძველი კასტური ცხოვრება ხელშეუხებელი იქნეს. მაგრამ ეს ბრძოლა სრულიად უნაყოფოა: უცხოელების წინააღმდეგ ამხედრებას აღმოსავლეთის ქვეყნებში ევროპის სახელმწიფოთა გაწრთნილი ჯარები შეყავს და იწვევს საშინელს სისხლის ღვრას. კაპიტალიზმის განვითარებასაც ვერავითარი ძალა ვერ შეაჩერებს დედა-მიწაზე,—ეს აქსიომაა.

ორივე ეს მოძრაობა, რომელიც აღმოსავლეთში ევროპის კაპიტალიზმმა წარმოშვა, ეროვნული თავის დაცვის დიდი საქიროებისგან არის გამოწვეული. განათლებულ ლიბერალებს და რეაქციონურ გაუნათლებელ ხალხებს აერთებს ერთი და იგივე დიდი მიზანი: თავისუფლება შეინარჩუნონ თავიანთ ძვირფას მამულს იქ, სადაც მას ემუქრება უცხოელი და კვლავ დაუბრუნოს მას იგი იქ, სადაც დაკარგულია იგი. მაგრამ ამისდა მიუხედავად მათ შორის მაინც ღრმა უფსკრულია გამსკდარი: უფიცი ხალხი ფიქრობს, რომ იგი მოახერხებს ხელშეუხებლად დაიცვას ძველი მამა-პაპური ცხოვრება ევროპის კაპიტალიზმის გავლენისგან. ინტელიგენცია, პირიქით, ფიქრობს თვისი უძვირფასესი მამულის სრულ გავეროპელებას, რომ ევროპის მიერ გაქედილ იარაღითვე დაამარცხოს. ძალების ამგვარი განაწილება, გაყოფა ასუსტებს, რა თქმა უნდა, ეროვნულ თავის დაცვისთვის ატეხილს მოძრაობას და ბრძოლას. ლიბერალური ინტელიგენცია, რომელსაც მტრულად უცქერის ხალხი, უღონოა და სუსტი. ხალხი, მასსა, რომელსაც ბელადობას არ უწევს პოლიტიკურად გაწრთნილი, განვითარებული მეთაურები, ტყუილად ხარჯავს თვის ძალებს მიუწლომელს, განუხორციელებელ რამეზე. მაგ-

რამ ეს ღრმა უფსკრული, რომელიც იმათ ერთი მეორისგან ყოფს, შეიძლება ამოივსოს.

ინტელიგენცია, რომელმაც მიიღო სრული ევროპული აღზრდა და განათლება და ამით იგი ჩამოშორდა თავის მშობელ, მონათესავე ხალხს, კვლავ უახლოვდება და უკავშირდება ამ ხალხს. ინტელიგენცია ცდილობს თვისი პოლიტიკური და სოციალური მიზნები შეუერთოს ხალხის ეროვნულ ტრადიციებს. მამადიანთა და ინდუსელთა ქვეყნებში ამ ტრადიციებს რელიგიოზური, სარწმუნოების ელფერი დაჰკრავს ხალხს. ახალმა პოლიტიკურმა მოძრაობამ, რომელშიაც შეერთდა წინანდელი ლიბერალური და რევოლუციური მიმდინარეობა, მიიღო წმინდა რელიგიოზურ-რეფორმატორული ხასიათი და, ამ რიგათ, ძველი სარწმუნოების ტრადიციები შეუერთა ახალს საზოგადოებრივს პოლიტიკურს მიზნებს.

მამადიანთა ქვეყნებში ამ ახალს მოძრაობაზე ძალიან დიდი ზედ-მოქმედება მოახდინა ჯემალ-ედ-დინმა. ეს სახელოვანი კაცი, ავღანელია, რომელმაც თავბრუ დამხვევი გავლენა მოახდინა მამადიანთა სასულიერო პირებზე და მოსწავლე ახალგაზდობაზე სპარსეთს, ოსმალეთს, ინდოეთს და ეგვიპტეში. ყურანის დიდი მკოდნე და ღრმად დარწმუნებული იმაში, რომ ისლამი გონებით და ზნეობითაც დიდად უპირატესია ქრისტიანობის მოძღვრებაზე, ეს კაცი საბრძოლველად იწვევდა მთელს მამადიანთა კაცობრიობას საქრისტიანო სახელმწიფოების გაუმძღვრობისა და უსინდისობის წინააღმდეგ. ამიტომ მამადიანთა სასულიერო წოდება ხალხთა მიერ ატეხილს მოძრაობის დროს პირველ რიგში უნდა ჩამდგარიყო, რომ დაეღწეწა ტახტი დესპოტიურ თვითმპყრობელობისა და ამნაირად აღედგინა ბატონობა მართლმორწმუნე ხალხისა, რომლის სისხლის მწოველი დესპოტები დამონებული ყავთ „გიაურებსო“. ამ შესანიშნავი კაცის მოძღვრების მიზანი იყო შეგერთებია სუნიტები და შიეები, რომ მთელ მამადიანობას შეეკნა და ამ ქვეყნათ დაეარსებია ერთი უღიადესი სახელმწიფო და ყოლოდა ერთი ხალიფი, რომ მამადიანობა სრულად

ლიად გათავისუფლდეს საქრისტიანო ევროპის სახელმწიფოთაგან და დედა-მიწაზე ისლამი გახდეს გაუპირატესებული და გამარჯვებული. ეს მოძღვრება ხმარობდა არაბთა უმაღლეს შკოლებში გაბატონებულ სხოლასტიკას. დაიწყო ამ დიდად საყურადღებო მოძღვრების ქადაგება დიდის ენტუზიაზმით აღსავსე, რომელიც მოედვა ქალაქებს, დაბებს და სოფლებს აღმოსავლეთში და მთელი ულუსი ხალხები თავის მხარეზე გადაიყვანა.

ეს იყო მიზეზი, რომ სპარსეთის მთელი სასულიერო წოდება ამ მოძღვრებას მიემხრო და ხალხის მხურვალე ბელადი შეიქნა სპარსეთის კონსტიტუციის ბრძოლის დროს. მან ნიჭიერად გამოიყენა სპარსელების სარწმუნოებრივი ფანატიზმი, აშალა და აღძრა საშინელი ზიზის ზვირთები უცხოელების წინააღმდეგ და ამით მან მიადწია თვის მიზნებს. 1891 წ. ინგლისის დიდს თამბაქოს საზოგადოებას, რომელსაც სპარსეთში მონაპოლია ქონდა მინიჭებული, ბრძოლა გამოუცხადეს და ევროპიდან შამოტანილ საქონელს კი ბოიკოტი მოლების ჩაგონებით. 1905 წ. დიდი პოლიტიკური-გაფიცვები სპარსეთისა სასულიერო წოდებამ ხომ პირ-და-პირ აკურთხა და საქვეყნოდ დალოცა. მედუქნები და ხელოვნები, რომელთაც მუშაობაზე ხელი აეღოთ და ქუჩებში გვირუკლად იბრძოდნ ეს „ირანის ლომნი“ პარლამენტალური კონსტიტუციის გულისთვის, წმიდა თავშესაფარებელ ადგილებს პოულობდნ მეჩეთებში („ბესტში“ ჩაჯდაო, რომ იწერებოდნ), სადაც ისინი მანამდი რჩებოდნ, სანამ იმათ მოთხოვნებს არ დააკმაყოფილებდნ.

გულკეთილი.

შემდეგი იქნება.

სამრევლოზე.

სინოდის ყოფილ ობერპროკურორის—ლეუკიანოვის მიერ შემუშავებული პროექტი სამრევლოს შესახებ საბლერმა უკან დაიბრუნა სახ. სათათფიროდან გადასაკეთებლათ და ახლო მომავალში ხელახლა შევა სახ. სათათფიროში.

თუ სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიებთან საბრძოლველათ პოლიტიკურ სარბიელზე გამოსულ ჩვენ ეპისკოპოსებს ბედმა გაუღიმა და სამღვდლოებაზე სხვადასხვა ძალდატანებითი ზომებით სახ. სათათფიროში მამონას მოტრფილვე მღვდელთაგან კრება შექმნეს, მაშინ სამრევლოს შესახებ პროექტის მიღება ექვ გარეშეა; ხალხს წაერთმევა ყოველგვარი უფლება და ყველაფერი აღრინდულათ დარჩება.

საეკლესიო ქონება გლახაკთა ქონებაა და უნდა ინარჯებოდეს ეკლესიურ-საზოგადოებრივ საქველმოქმედო საქმეებში. თითოეული სამრევლო თავის ძალღონის დიგვარათ უნდა ინახავდეს სამრევლო შკოლას, სამოწყალო სახლს, თავშესაფარს, სადაც შესაძლებელია საავითყოფოსაც, ეხმარებოდეს და ზრუნავდეს გლახაკებზე და ღატაკებზე. მაგრამ ახალი პროექტი ამას უარყოფს, ამის უფლებას ართმევს სამრევლოს. იგი „უწყებას“ აკუთნებს მთელ საეკლესიო სამრევლო ქონებას: სახლებს, მიწას, ღუქნებს, სავაჭრო სადგომებს, ტყეებს და სხვა უძრავ ქონებას და აგრეთვე ფულსაც. თუ მრევლს სურს იქონიოს სამოწყალო სახლი, არ უშლიან, უნდა თავის ხარჯზე ააგოს და შეინახოს, ეკლესიის შემოსავალი კი არ შეუძლიათ მოიხმარონ, რადგან მთელ საეკლესიო შემოსავალს განაგებს „უწყება“. ამ მდგომარეობაში რა გაჭირვებამ უნდა შეაერთოს და აიძულოს სამრევლო, რომ აურჩეველ და მოსულ მწყემსის კონტროლ ქვეშ მოწყალების საქმენი შეასრულოს? ან სულ არ უნდა იცნობდნენ ხალხს, ან უნდა „პრიკაზნი ჩინოვნიკი“ იყოს, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, რომელსაც საეკლესიო საქმეებშიდაც ხმა ამოუღებლათ მორჩილებას გაუწყვეს ხალხი. და ეს იმ დროს, როცა მმართველ ეკლესიაში ხალხი რყევავშია და ქეშმარიტების ძებნაში!

წარმოვიდგინოთ მაგალითათ მოსკოვის ღვთისმშობლის დაბადების ეკლესიის საეკლესიო — სამრევლო საბჭოს კრება. საბჭო ანგარიშს მოსთხოვს კრებულს, სად მიდის ასიათასობით წლიური შემოსავალი იჯარით გაცემულ მამულებსა, კაპიტალისა, რომელიც თითქმის მილიონ მანეთამდე აღის და სხ. ამაზე კრებული

უპასუხებს: „ეს თქვენი საქმე არ არისო“. ხუთი მღვდელი, დიაკონი და ხუთი მედავითნე იყოფენ ურთიერთ შორის თითქმის 54 ათას მან. წლიურ შემოსავალს, ხოლო სამრევლოს არ შეუძლია მოაწყოს რამოდენიმეთ შესაფერი სამრევლო სასწავლებელი, ღარიბთა თავშესაფარი, სამოწყალო სახლი... .

სამრევლოს არ აქვს საქმე სასულიერო სასწავლებლებთან, რომელთა მოსწავლენი ასე უხვად ემსახურენ რევოლიუციას. ეხლაც განაგრძობენ ისინი ათეისტების გამოშვებას, რომლებიც საკმაოთ არის არა თუ მხოლოდ სამღვდლოთა შორის, არამედ ეპისკოპოსთა შორისაც. ბევრი, რა თქმა უნდა, ექვით შეხედავს ამას. მაგრამ ჩვენ ესთხოვთ ექვიანებს, დააკვირდნენ ზოგიერთ ეპისკოპოსების ცხოვრებას, მათ მუცლის თნებას და ვერცხლის მოყვარებას, ბერების გარყვნილების წამქეზებლობას მონასტრების მცარცველობაში, რომელთა მართვა გამგეობა კანონიკური უფლების ძალით არც კი ეუფლებათ. ნუთუ ასეთი ეპისკოპოსები შეიძლება ჩაითვალოს ღვთის მორწმუნეებთან?

ჩვენი სინოდის კირიები, თავის უტოდველად მიჩნევის მაგიერ რომ მოიგონებდნენ ღვთაებრივ მწყემსმთავრის წინაშე თავის პასუხისგებას, იფიქრებდნენ ცოტა რამეს ხალხზედაც, რომელიც მათ არ უნდათ იცნონ ეკლესიის სხეულათ და ეჯარებოდნენ სამრევლოს შექმნას კანონიკურ საფუძვლებზე, როგორც ეს არსებობს ძველი დროიდან მართლმადიდებელ აღმოსავლეთში, ამით ისინი არა თუ აღადგენდნენ სარწმუნოებას ხალხში და განაფითარებდნენ მოწყალებას, არამედ ეკლესიისადმი გულგრილ ინტელიგენციასაც დააბრუნებდნენ მის წილში. მაგრამ ეს არ მოხდება! სამრევლოს მისცემენ უფლებას, მაგრამ ისეთს, რომელზედაც თვითონ ხალხი იტყვის უარს. „ყველაფერი, რისიც დაპყრობა და დაფლობა შევიძელით, ჩვენია, ამბობს „უწყება“, ხოლო, რაც თქვენ მოიპოვით ღვთის შემდეგ, ის თქვენი იყოს, რა თქმა უნდა, დრომდის“.

„უმართებელესმა“ კარგათ იცის, რაში უნდა მდგომარეობდეს სამრევლოს უფლებები. სამრევლო ეკლესია, რომლის გარშემოც გაჩნ-

და სამრევლო, მის საკუთრებათ უნდა ირიცხებოდეს. მთელი ეკლესიის შემოსავალი, როგორც ადგილებიდან, სახლებიდან და სხვა უძრავ-მოძრავი ქონებიდან და აგრეთვე ფულის თანხიდანაც უნდა იხარჯებოდეს, როგორც ეკლესიის შენახვისა, განახლებისა და შეკეთებისათვის, ისე სამრევლოს სამოსწავლო და სამოწყალო საჭიროებისათვის, და ღარიბებისა და ღატაკების შესანახად.

„უწყებას“, რაც უნდა გახდეს, სურს დაამტკიცოს, რომ სამრევლო ეკლესიების ქონება ეკუთვნის სრულიად რუსეთის ეკლესიას, რომ უფლება მოკლებულს „უმართებელს“, რე მის დაყენებულ ეპისკოპოსებს შეუძლიათ ისე განაგონ და მოიხმარონ სამრევლოს ეკლესიის შემოსავალი, როგორც მათი სურვილია.

მაგრამ ეს ასე არ არის! საპატრიარქო, სამიტროპოლიტო, საეპისკოპოსო საკათედრო ქონება და ქონება სამრევლო ეკლესიისა ორი სულ სხვადასხვა საგანია და არ შეიძლება მათი ერთმანეთში არევა. საარქიელო კათედრის ქონებითაც სავსებით არ სარგებლობდნენ ძველათ, რადგან ამავე ქონებით იხარჯებოდნენ საარქიელო სახლთან დაარსებული სამოწყალო სახლები, თავშესაფრები, სასწავლებლები, საავათმყოფოები და სხვა საქველ მოქმედო დაწესებულებები.

რუსის ეკლესიის სრულებით არ ესაჭიროება მდიდრულათ მორთული საეპარქიო საქალეხო სასწავლებლები, აგრეთვე სავაეებო სასულიერო სასწავლებლები და მრავალრიცხოვანი სემინარიები, რომელთაგან ხანდისხან მხოლოდ ერთი მეხუთედი თუ მიდის სამღვდლო სამსახურში. ეკლესიას სჭირია მოწოდებით მწყემსნი, რომლებიც უნდა მიდიოდნენ სემენარიებში დიპლომისთვის კი არა, არამედ მიტომ რომ ემსახურონ ხალხს, უჩვენონ გზა გამოსნისა და ასწავლონ ყოველი სიკეთე.

„უწყებას“ კარგათ ესმის, რომ სამრევლოს მიმართ მისი საღეთო კანონებით მინიჭებულ უფლებათა დაბრუნება, იმას მოასწავებს, რომ „სასულიერო უწყებას“ წაერთვას უფლება საეკლესიო ქონებით სარგებლობისა. თუ უც-

თომელი სინოდლები უარს ამბობენ ხალხის ნდობაზე, მაშინ ხალხსაც თავის მხრით არ შეუძლია მათი ნდობა, და, სამწუხაროთ, განზორებული ეკლესიას (ხალხი) მოკლებულია შეძლებას განავითაროს სამრევლო-საეკლესიო ქველმოქმედება.

მართლმადიდებელ აღმოსავლეთში, მაგალითად, ქრისტიანები თათრის მძიმე უღელ ქვეშაც კი, მართებლობის მხრით სრულიად დაუხმარებლად, იხარჯენ შკოლებს, თავშესაფარებს, საავათმყოფო სახლებს და სხ. არ არის ისეთი ეკლესია, სადაც არ იყოს საეკლესიო სამრევლო შკოლა, რადგან იქ მრევლმა იცის, რომ, როგორც შკოლა, ისე მღვდელიც მან უნდა შეინახოს სახელმწიფოს დაუხმარებლად. ჩვენში კი ეპისკოპოსებიც და მღვდლებიც ხალხიდანაც და ეკლესიების შემოსავლიდანაც ღებულობენ მშვენიერ მოსავალს და იმავე ღროს კდილობენ უღელი დაადგან სახელმწიფო ხაზინას, რითაც მოწმობენ, რომ იგინი სახელმწიფოს უფრო ემსახურებიან, ვიდრე ეკლესიასა ღეთისასა.

სასულიერობას, რომელსაც არ სურს ხალხთან ერთობით ცხოვრება, ახლო მომავალში მიხვდება, რომ მართებლობას არ შეუძლია აღასრულოს ყველა მისი სურვილები შესახებ მის უხე ნივთიერ უზრუნველყოფისა, რომ, რაც შეიძლება, შორს გაუდგეს ხალხს.

ამავე ღროს განათლებული საზოგადოებაც და ხალხიც მოიგონებენ მის პარტიულ პოლიტიკურ ანგარიშების სამსახურს, და იგი მოიმიკის სამწუხარო მწარე ნაყოფს. ხოლო მაშინ, როცა სამრევლო სრული თვით მართველი იქნება და მწყემსიც თავის სამწყსოსთან ერთი იქნება, კრებული, ყოველ შემთხვევაში, უფრო უზრუნველყოფილი იქნება, ვიდრე სახელმწიფოს მხრით. შეიძლება ვლ. კ. საბლერს ანაფოროსანი მოსამსახურეების ლაშქარი ეპირვებოდეს, რომელსაც მისი ფიქრით ხალხი გაჰყვება. მაგრამ გაჰყვება კი მას ხალხი ან საღ წაიყვანს მას ეს ლაშქარი, — ძნელი სათქმელია.

რუსი მწყემსები, რომლებსაც მართებლობა 200 წლის განმავლობაში თიშავდა ხალხისგან, არ დასდებენ თავს თავის სამწყსოსა-

თვის, ბერძნებით. ამას არ ასწავლიდნენ მათ სემენარიებში. მათ ჟღენთავდნენ ზიზლით „ინოროდკებისადმი“, სიძულილით. რუსის ექსარხო-სებმა საქართველოში და რუსის რექტორებმა ქუთაისის და თბილისის სემენარიებში 1890 წ. დაამოწმეს, რამდენათ გამოსადეგია რუსის სასულიერო შკოლა რევოლუციონერთა და ანარ-ხისტთა ლაშქრის შესავსებათ და რა სიყვარულით არიან აღსავსენი რუსის ეპისკოპოსები და მღვდლები თავის „ინოროდკების“ სამწყსოსადმი.

დურნოვო.

II. B, № 141.



გზა ქრისტესი.

გავრძელება*)

კაცი თავისი თავისუფალ-გონივრული ნებით მოწოდებული იყო **შეგნებით** მიეღო აბსოლუტური-წმიდა ღვთის ნება, და თავმდაბლობითი თანხმობაში მასთან, მიემართნა მთელი თავისი მოქმედება სიკეთისა და უმაღლეს ბედნიერებისაკენ,—განეხორციელებინა ღვთის პლანები დედამიწაზე ღვთიური საშუალებებით.

მაღალ შედეგად ასეთის ღვთივ-კაცობრიულის მოქმედებისა იყო „გასულიერება ქვეყნისა“—დასახლოვებლად მისა ღმერთთან სიყვარულში და სიმართლეში (ენოხი და ილია). ადამიანებს რომ გაეგოთ დაეფასებინათ თავისი უმაღლესი უაღრესობანი, — იმიტომ ღმერთმა დააყენა ისინი ყველა ცხოველებზე მაღლა. რომელთა ცხოვრებაც სრულებით არაფრად ჩასარაცხია შედარებით კაცთან. კოტაა ესეც: კაცს დაპირებული ჰქონდა **საუკუნო გაფართოვება** მისი სულიერი ბუნებისა ღვთისაკენ... კაცი თანდათან უნდა განვითარებულიყო თავის სრულყოფაში, დაახლოვებულიყო ღმერთთან, წყაროსთან უმაღლესი ბედნიერებისა და ნეტარებისა, და ამითი ნამდვილი ბედნიერი და ნეტარი ყოფილიყო. **თავისუფალ შემოქმედებით**

სათვის ცხოვრებისა ღვთიური საშუალებეებით, ადამიანებს ჰქონდა დაპირებული აუარებელი და უდიდესი სიკეთენი... უფსკრულია ღვთის სახიერება...

მოხდა სხვანაირად... იმის მაგიერად, რომ, მაღლობითის გრძობით ასეთის სიკოცხლის და ნეტარების მონიჭებისათვის, შეეყვარებინათ ღმერთი და მთლად დამორჩილებოდნენ მის კეთილ ნებას, რომელსაც ასე ნათლად მიჰყავდა კაცი ბრწყინვალე ბედნიერების სულ ახალ და ახალ სიმაღლეებზე, —ადამიანები დამღუპავე ცდომილებით თავისი თავისუფლებისა გაეყარნენ ღმერთს, შეიყვარეს ქმნილება მომეტებულად თვით შემოქმედზე, ჩასთვალეს თავიანთი თავი ღვთის ვენახში არა პასუხის მგებელ მუშაკებად, არა ვალდებულად ვისთვისმე ანგარიშის მიცემისა, —არამედ სრულ ბატონ-პატრონებად, უარყვეს გრძელი, მაგრამ ნამდვილი გზა თან და თანობითის სრულ-ყოფისა, მოინდომეს გახდომა ღმერთებად, ან კიდევაც ეჭვი მიიტანეს თავიანთ კეთილმოყოფელზე და უფაღზე, რომ ვითომ იგი ატყუებდა მათ და შურდა მათი კეთილდღეობა და ბედნიერება. გონიერ-თავისუფალ ნებას ადამიანისას ჰქონდა მიცემული შესაძლებლობა მისთვის დაცემისა, დამახინჯებისა, ღვთის წინააღმდეგობისა... ამაში დიდი აზრი გამოიხატება... მხოლოდ ერთი ღმერთია აბსოლუტურად მღვდომი სიკეთეში; ხოლო შექმნილ არსებებს არ შეუძლიან ასეთებად ყოფნა... თუ-კი მე შემოძლიან **ჩემ-თავად** განვმტკიცდე სიკეთეში, ჩემის საკუთარის ძალით, თვინიერ ღვთის შემწეობისა, მაშ, ნიშნავს, ღმერთი აღარ მინდა, და ვითომ თვითონ ღმერთი ვარ!.. მზის სხივს შეუძლიან ჩაქრეს და ბნელად გადაიქცეს; მაგრამ თვითონ მზე ამითი არ იცვლება...

მღვდმარეობა აქ ასეთია: ღმერთი მძღვეს მე სიკოცხლეს, და ყველა საშუალებებს ამ სიკოცხლის დასამყარებლად ღვთის ნებაზე... შემდეგში-კი მე თითონ ვმოქმედობ. მინდა—გავივლი ღვთის ნებაზე, მინდა—არა!.. პირველი გზით მე ვპოვებ სამოთხეს, მეოთხე გზით —ჯოჯოხეთს... გარნა ღვთის განუსაზღვრელ

*) იხ. „შინ. საქ.“ № 23.

სიყვარული აქაც არ სტოვებს კაცს მარტოდ, უმწეოდ, ამ კითხვის გადაწყვეტაში, თუ **საით უნდა წასვლა**: იგი აჩვენებს მას მთელ სიცუდეს და ამოებს მისი ღვთის წინააღმდეგი მისწრაფებებისას, უჩვენებს მთელ არარაობას ქვეყნიურ ბედნიერებათა შედარებით ზეციურთან, უჩვენებს მთელს თავშემზარავ საშიშროებას და მის საუკუნოებრივ ცთომილებათა, — და ამით სცდილობს დააყენოს იგი ჭეშმარიტ გზაზე... იმ საშუალებათა რიცხვში, რომლებსაც ხმარობს **ღვთის შემთავებელი სიყვარული**, არის ტანჯვა, რომელიც მოველინება ადამიანს, და ზოგჯერ ძალიან სასტიკიც და მწვავეც, როგორც ხირურგია... ტანჯვა, როგორც **ტერმომეტრი** აჩვენებს რაოდენობას და ძალას ბოროტებისას ხალხში (ქვეყნის დასასრულს, როცა საშინლად გავრცელდება ურწმუნობა და უსჯულოება, — ტანჯვაც მიიღებს საზარელ ზომებს!), ამცირებს საიქიოს მისაგებელს (აქაც უფესკრულია ღვთის სახიერებისა!), აქრობს ვნებებს, ნათელ ჰყოფს გონებას და სინიღისს, აფხიზლებს სულს ყოველივე მის მოქმედებაში...

ყველა ამ შემთხვევაში თავისუფლება რჩება იმავე მდგომარეობაში: ზოგი კაცი სიხარულით ღებულობს ღვთის შემწეობის საშუალებებს; ზოგი-კი უარყოფს ამას, ჯიქდება თავის მოყვარეობაში, და **თავის ნებით** იღუპება... ამ ნაირათ ირჩევა ბურის მარცვალი ღვარძლისაგან ღვთის ყანაში!.. მაგრამ დავუბრუნდეთ თავს.

ყოველად-სახიერმა უფალმა, მიიღო-რა მხედველობაში ადამიანის უძლურება, შეიბრა-ლა თავისი ქმნილება, და წინადაუდო მას სინანული ღვთის წინააღმდეგ ჩადენილ ცოდვაში, როგორც საშუალება განკურნისა (შექმნ. მ, 8—13). მაგრამ ბოროტებამ ისეთი ღრმა ფესვები გაიდგა ხალხის გულში, რომ ღვთის სასიყვარულო, გულმტკინველმა მოწოდებამ ცოდვილების მიმართ ვერ მოაქცია ისინი, და ვერ გამოიწვია გრძნობა სინინულისა...

ორი დღე იყო დარჩენილი: ან უნდა შერიგებოდა ღმერთი ხალხის ბოროტებას, თავის სიყვარულისა და ხალხის სიბრაღე-

ლის გულისთვის, ესე იგი, თანაზიარ ყოფილიყო ღვთაებრივი სიწმინდე ქმნილების ბოროტებასა და უსჯულოებასთან, რაიცა მოუსასზრებელია, იმიტომ რომ უფალს სძულს ბოროტება და უსამართლობა, და არ შეუძლიან მოთავსდეს იქ, სადაც გამეფებულია ცოდვა, როგორც სინათლეს არ შეუძლია მოთავსდეს იქ, სადაც სიბნელეა, და წინააღმდეგ; ან სასჯელის გზით გამოეწვია ხალხში გრძნობა სინანულისა, შემეცნება თავის შეცდომისა, თავისი უძლურებისა და უმწეობისა ღვთისგან დაშორებით...

უფალმა ამოირჩია მეორე გზა, როგორც ერთად-ერთი შესაფერი მისი სიდიადისა, სიწმიდისა და სიმართლისა...

ადამიანები განცალკევდნენ ღვთისაგან ამპარტავენებით, სულიერის გამოცდილების სიმცირით (არ ცოდნა კეთილისა და ბოროტისა), და გარეგან ბედნიერებათა მიკერძვით. უმთავრეს მიზეზად-კი პირველ ადამიანთა ნეტარი ცხოვრების დარღვევისა იყო ეშმაკი, უბედური სულიერი არსება, გამბოროტებული ღვთის სწორად გახდომის უძლურებისაგან.

ის, რაც გახდა მიზეზად ხალხის განყენებისა ღვთისაგან, ამიერიდგან შეიქმნა მათ საწყევარად...

ყველაზე პირველად, ადამიანებმა დაპყარეს პირველი ნეტარება და გაიგეს ნამდვილი შედეგები ბოროტებისა და ცოდვისა ათას გვარი წვალების და ჰირ-ვარამის სახით. ისინი მიხვდნენ, რომ **ამპარტავენებამ** მოატყუა ისინი თვით უსასტიკესი საშუალებით, — და **დამდაბლდნენ**, იგლოვდნენ სამოთხის კარებთან თავის დაკარგულ ბრწყინვალე ბედნიერებას...

შეცოდებამდის ადამიანები სტკებოდნენ სიცოცხლით, როგორც უმანკო ბავშვები, და იყვნენ ხორციელად უკვდავები. ეს გარეგანი უკვდავება არსებობდა მანამდის, სანამ იგი ემსახურებოდა ღვთაებრივი სიყვარულის და სიმართლის მიზნებს; როდესაც-კი ადამიანებმა გადააქციეს იგი იარაღად ღვთის წინააღმდეგობისა, ცოდვისა და ეგოისტური თვითღამტკიცებისა, — მაშინ ღმერთმა გამოართვა ადამიანებს ეს ნიჭი თავის სიყვარულისა, და შესცვა-

ლა იგი, თავის სახიერების მიუწვდომელი პლანებით, ნეტარებით სულიერის უკვდავებისა ზეცას, რომელიც მიეცემა კაცს ღრმა სინანულით, კეთილი ცხოვრებით და სარწმუნოებით ქვეყნის მაცხოვრისადმი... რომ უფრო ძლიერ შეემუსრა აღამიანების ამპარტავნება, უფალმა, თავისი დაპირებით მაცხოვარზე, აგძნობინა ცოდვილებს, რომ იმათ თავის-თავად, მარტო პირადის ცდილობით, არ შეუძლიან დაბრუნება დაკარგული სინათლის და ნეტარებისა... ცხოვნება გამოსცხადდება მათადმი, როგორც ახალი ნიჭი ღვთის სიყვარულისა, „რომ არავინ არ იამპარტავნოს“...

მღვ. იოანე ლუკიანოვი.

შემდეგი იქნება.

ხმა ზემო იმერეთიდან.

(სოფ. ხუნევი.)

ზოგიერთი მღვდლები ცა და ქვეყანას შემოვიან: მრევლში სარწმუნოება შემციონდა, ხალხმა წირვალოცვაზე გული აიცრუა და ჩვენც პატივი მოგვაკლდაო. თუ ეს წუწუნი სამართლიანია, უნდა გვახსოვდეს, რომ ხშირათ ჩვენვე ვართ ამის მიზეზი, რადგან ბევრი ჩვენგანი თავისი საქციელით ძლიერ ცუდ მაგალითს აძლევს სამწყსოს. მრველი ჩვენგან მოითხოვს სიმართლეს და მოვალეობის მტკიცეთ შესრულებას: ყოველი საშუალებით ხელს უნდა ვუწყობდეთ მორწმუნეთა სარწმუნოებრივი გრძობის განმტკიცებას და არ უნდა მიგვაჩნდეს ის მარტო შემოსავლის წყაროდ. ჩვენ კი ხშირად ვერ ვიჩენთ მრველის კანონიერი მოთხოვნილებებისადმი სამართლიანობას და აი მისი მაგალითიც:

სოფელი ხუნევი მდებარეობს ძირულის ხეობაში, გაშენებულია მდინარე ძირულის ნაპირებზე და შესდგება 120 მეკომურისაგან. ეს სოფელი იმდენათ ვრცელი და თვალსაჩინოა სხვა მასლობელ სოფლებთან შედარებით, რომ საზოგადოებას, რომელიც მ. სოფლისაგან შესდგება, ხუნევის საზოგადოება დარქმევია; აქვეა ხუნევის სასოფლო სამმართველო და ამავე სახელით მონათლული ორკლასიანი სამინისტრო სასწავ-

ლებელი; ამავე სოფელზე გაიგლის გზატკეცილი, რომელიც სადგურ ძირულიდამ ესრე წოდებულ რიკოთის სერით გადადის დაბა სურამში. ამნაირათ ხუნევი არც სულ მივარდნილ-მივიწყებული სოფელია, მაგარამ ერთის მხრით ის ძლიერ დასჯილია. ის მიწერილია გეთსამანიის ღვთ. მშობლის ეკლესიაზე, რომელიც 4—5 ვერსის მანძილით არის დაცილებული ხუნევეზე. სიშორეს რომ თავი დაფანებოთ, გზისეთ აღმართ-დაღმართსა და ღელეღულეზეა გაყვანილი, რომ ზამთრობით ყოველად შეუძლებელია ხუნეველებისათვის ეკლესიაზე მისვლა, თუმცა ამ გზაზე ყოველთვის სახიფათოა სიარული.

ამიტომაც ამ გზაზე სულ რამოდენიმე წლის განმავლობაში ორი კაცი გადაიჩეხა უფსკრულში და ძლიერს მკვდრები ამოიტანეს. უბედურებაც ის არის, რომ უკეთესი გზის გაკეთება შეუძლებელია. თითონ სოფელი გეთსამანია სურამის ანუ ლიხის მთის დასავლეთის კალთაზეა გაშენებული და სამოცამდე მეკომურისაგან შესდგება. გეთსამანიის ეკლესია ძველ დროში, როცა მტრის შიშისა გამო ხალხი მიუდგომელ ადგილებს ეტანებოდა, აუშენებიათ. შემდეგში ხალხი ბარათ დასახლებულა და ეკლესიაც აუშენებიათ, მაგრამ შტატის სახელი ერთხელვე გეთსამანიის ეკლესიას შერჩენია. ამ ხუთიოდე წლის წინეთ გეთსამანიის ეკლესია შეაკეთეს. ხუნეველები ბევრი იხვეწენ: ხუ შეგვიყვანთ ამ ეკლესიის ხარჯში, რადგან ამით ჩვენ ვერ ვსარგებლობთ, ჩვენ თითონ უნდა გავიკეთოთ ახალი გეგმის ეკლესიაო, მაგრამ მათმა თხოვნამ არ გასჭრა. ხუნეველებმა შტატის ეკლესიის შეკეთებაზეც დიდძალი ფული დახარჯეს და მშენიერი საკუთარი ქეითკირის ეკლესიაც აიშენეს, რომელი ეკლესიაც ბევრათ უკეთესია გეთსამანიის ეკლესიაზე. ამ მოსაზრებით გაკადნიერებულმა ხუნეველებმა სთხოვეს სასულიერო მთავრობას მათი ეკლესიის გაშტატება და ღღეს საქმის ვითარების გამოკვლევა-გამოძიება მინდობილი აქვს ადგილობრივ კეთილმოწყვეს დეკ. მ. ე. ვეფხვაძეს. ადგილობრივი მღვდელი უხერხულ მდგომარეობაშია, რადგან ერთ-ერთი

მხარისაგან უსათუოდ სამღურავი მოელის. ვალდებული კი არის როგორც ბ. კეთილმოწესე, ისე ადგილობრივი მღვდელიც, რომ ხუნველების კანონიერი თხოვნის დაკმაყოფილებას ხელი შეუწყონ, როგორც სამართლიანობის მიხედვით, ისე იმ მოსაზრებით, რომ ადრე თუ გვიან საქმეში მისი შეუფუბა ყოველდღეობა ვიორგი ჩაერევა და, რომ გაიგებს საქმის ვითარებას, მიუცილებლათ დააკმაყოფილებს დიდხინდამ დასჯილი ხუნველების მოთხოვნილებას.

სტუმარი, ერთი სოფლის მღვდელთაგანი
მღ. სიმონ ჭუმბურიძე.

წერილი რედაქციის მიმართ.

მამაო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ, თქვენ პატივცემულ გაზეთ „შინ. საქმეებში“ ადგილი დაუთმოთ ამ ჩემ მცირე შენიშვნას.

ქვემო მალაქის მთავარანგელოზის ეკლესია აშენდა 1894 წელში. და მას არავითარი ვალი არ ქონდა, არამედ პირიქით რაოდენიმე პირზე დარჩა გაწერალი ფული შემოუტანელი ას მანეთამდე. ეს ფულები კურთხევიდან ათი წლის შემდეგ ამოიგო ვიორგი ვასილისძე ჟორჯოლიანმა ეკლესიის სახელით სოფლის სულში და მიაქცია თავის სასარგებლოდ; ამაზე მე აღუძარი საჩივარი ყოველდღეობაში და ეხლა საქმე სწარმოებს, ქუთაისის ოლქის სასამართლოში. როგორც ცნობილი შევიქენი, თვით მოწმეებისაგან და თვით მეც ვიცი, საქმეს გულგრილად ეკიდება სასულიერო მხრით წარმომადგენელი. ეხლა ვსთხოვ სასულიერო წარმომადგენელს, ვინაიდან ორი მოწმე კიდევ არის საკითხი, საქმეს მეტი ყურადღებით და ინტერესით მოეკიდოს, რადგან უმოწმოთაც საქმე ცხადად აჩვენებს ბ. ჟორჯოლიანისაგან ეკლესიის ფულების მითვისებას.

მნათე ანტონ დეისაძე.

მადლობის გამოცხადება.

მამაო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ, ნება მომცეთ თქვენი პატივცემულის გაზეთის „შინაური საქმეების“ საშვალებით უღრმესი მადლობა გამოუცხადო მე და ჩემის მრევლის მხრით მცხ. ლეჩხუმის მახრისას ძმებთ თ. ნიკოლოზ და ლევან ვლადიმერისძე ჩიქოვანებთ, რომლებმაც კეთილ ინებეს და შემოსწირეს რწმუნებულს ჩემდამო ლასურის ღვთისმშობლის ძველს ეკლესიას გასაახლებლად 300 მ. ნაღდათ. ღმერთმან აგონოს სხვა შეგნებულ პირებსაც ესრეთი გულუბვი შემოწირულება გამოიჩინონ.

მღვდელი ილარიონ ჭაბუკიანი.

მამაო რედაქტორო!

ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის საშვალებით, უღრმესი მადლობა შევსწირო სვერის საბლალაოჩინო სამღვდელოების იმ პირთ, რომელთაც კეთილ ინებეს და ბედისაგან დაჩაგრულს და უნუგეშო მდგომარეობაში მყოფს ქვრივს ნივთიერი დახმარება აღმოუჩინეს. აი სია იმ პირთა: მღვდელი სერგი მაქარაშვილი 1 მ. მღ. დ. ლოსბერიძე 1 მ. მღ. ილარიონ მაქარაშვილი 50 კ. მღ. ვლად. მაქარაშვილი 50 კ. მღ. პარმენ წერეთელი 50 კ. მღ. ნიკოლოზ. ჩაჩანიძე 50 კ. მღ. ტ. მესხი 50 კ. მღ. ილია წერეთელი 30 კ. მღ. ილარიონ ზარაბიძე 20 კ. მღ. იასონ კვიციანიძე 20 კ. მღ. თომა ჩინჩლაძე 20 კ. მედავითნე ვისილ სამხარაძემ 25 კ. მღვ. დავით მაქარაშვილმა 20 კ. მედ. მოსე გაფრინდაშვილი 20 კ. მედავითნე ტარასი ტაბატაძემ 15 კ. მედ პეტრე ხახიშვილი 20 კ. იმედი მაქეს სხვანიც თანაგრძობას გამიწვევენ და თავიანთ თანამძის ცოლშვილს უნუგეშოთ არ დასტოვებენ.

დავშთები უღრმესი მადლობელი ბედისაგან დასჯილი ქვრივი ელენე ჩხლაძისა.

რედაქტორი მღვდელი **სიმონ მჭედლიძე**.
გამომცემელი **იოსებ ლეჟავა**.